

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2015

საქართველოს სახალხო დამცველი | 2020





PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA



UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY



ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2014-2015

საქართველოს სახალხო დამცველი | 2020

მეთოდოლოგიის ავტორი: თამარ დეკანოსიძე

სისხლის სამართლის საქმეების და სტატისტიკის ანალიზზე მუშაობდნენ ექსპერტები:

გიორგი გოცირიძე და ნინო იაკობიძე

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს. გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი	4
1. კვლევის მეთოდოლოგია	6
2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა	8
3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები	12
4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები	13
4.1 დაზარალებულად ცნობა	13
4.2 აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება	13
4.3 ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა	13
4.4 დანაშაულის კვალიფიკაცია	14
5. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები	15
5.1 53-31 მუხლის გამოყენების სპეციფიკა	15
5.2. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები	17
6. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/დადგენილებების ანალიზი	19
დასკვნა	20
რეკომენდაციები	21
დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა	23
დანართი №2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი	25
2014 წელს მომხდარი სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი	25
2015 წელს მომხდარი სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი	39

შესავალი

2014 წელს გენდერული ნიშნით ჩადენილი ქალთა მკვლელობის რიცხვი განსაკუთრებით მაღალი იყო. ქალთა მკვლელობების ტრაგიკული მასშტაბების გამო, ეს წელი, გარდამტეხი გახდა ფემიციდის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით და ამ პერიოდიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების გაუმჯობესებაზე.

საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, პრობლემური იყო როგორც არასრულყოფილი საკანონმდებლო ჩარჩო, გაუმართავი დაცვისა და დახმარების მექანიზმები, ასევე, არსებული მექანიზმების არაეფექტიანი გამოყენება. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში, საკანონმდებლო ჩარჩო ოჯახს გარეთ ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევაში დაცვის და დახმარების მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა, სამართალდამცავ უწყებას არ ჰქონდა რისკის შეფასების ინსტრუმენტი, ასევე არ არსებობდა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც განმეორებით ძალადობას ეფექტიანად გამოავლენდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილმა რიგმა შემთხვევებმა გამოავლინა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იყენებდნენ ე.წ. „ხელწერილებს“, ასეთ ფორმას კი, ძალადობისგან დაცვისკენ მი-

მართული სამართლებრივი ნორმები საერთოდ არ ითვალისწინებდა. ხელწერილები სრულიად არა-ეფექტიანი საშუალება გახლდათ და ვერ უზრუნველყოფდა მსხვერპლის დაცვას, რადგან არ ჰქონდა თანმდევი სამართლებრივი შედეგები, ამასთანავე, ის ვერ უზრუნველყოფდა განმეორებითი ძალადობის თავიდან არიდებას, ან, მომხდარის შემთხვევაში, მოძალადის პასუხისმგებლობის დაყენებას.

2014-2015 წლებში ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებით ერთადერთი საკანონმდებლო ნორმა მოქმედებდა და ეს იყო სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი, რომელიც გენდერის და სქესის ნიშნით ჩადენილ ყველა დანაშაულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევდა, თუმცა პრაქტიკაში, ეს მუხლი თითქმის არ გამოიყენებოდა და არც გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაული განისაზღვრებოდა.

2013 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ფემიციდის შესახებ. რეზოლუცია წევრ ქვეყნებს მოუწოდებდა მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა, რომელიც მიმართული იქნებოდა ქალთა და გოგონათა გენდერული მკვლელობების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, ერთ-ერთ ინსტრუმენტად ფემიციდის წინააღმდეგ რეზოლუცია სტატისტიკის შეგროვებასა და ანალიზს მოიაზრებდა.

1 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ombudsman.ge/geo/femitsidze-zedamkhedvelobis-meqanizmis-sakonsultatsio-sabchos-shesakheb> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 11 მარტს]

2015 წელს გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ – დუბრაჟკა სიმონოვიჩმა სახელმწიფოებს მოუწოდა შეექმნათ „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი“, რაც გულისხმობს ფემიციდის შემთხვევების შესახებ მონაცემების შეგროვებას და ყოველწლიურად, 25 ნოემბერს, გამოქვეყნებას.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016 წლიდან, სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე უწევს მონიტორინგს ფემიციდის შემთხვევებს. მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების, მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის თითოეული საქმე, რათა გამოვლინდეს ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის მექანიზმის ხარვეზები შემდგომში ამ მექანიზმების დასახვეწად და განსავითარებლად.

ფემიციდზე ზედამხედველობის მექანიზმის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს¹ რეკომენდაციით, სახალხო დამცველმა ჩაატარა 2014-2018 წლებში მომხდარი შემთხვევების მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების

განხორციელების და სტატისტიკის დინამიკის შეფასებას, მიღებული პროგრესის გაზომვას და არსებული ხარვეზების გამოვლენას.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულ სისხლის სამართლის საქმეებში დანაშაული ჩადენილია 2014-2015 წლებში. ამ პერიოდიდან დღემდე, უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კუთხით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, 2017 წელს საქართველომ მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება, კანონმდებლობის დიდი ნაწილი შეუსაბამა კონვენციის მოთხოვნებს, გააუმჯობესა ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სისტემა და დახვეწა მონიტორინგის მექანიზმები.

შესაბამისად, ანგარიშის რეკომენდაციების ნაწილში მხოლოდ ის საკითხები მოხვდა, რომლებიც ამ დრომდე გამოწვევად რჩება. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი მიგნებები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლევლობების (ფემიციდის) მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეიქმნა, და ის ასევე გამოვიყენეთ წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას.²

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე³ დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან, ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მი-

ხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.⁴

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, სასამართლო საქმეების ანალიზისას, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ფემიციდის მოტივის ნიშნები, კერძოდ:

- მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული ან სექსისტური დამოკიდებულება;
- მესაკუთრული დამოკიდებულება;
- ქცევის კონტროლი;
- სტერეოტიპული გენდერული როლების მორჩილების მოთხოვნა.⁵

მსხვერპლისთვის დადგენილი გენდერული როლებისადმი დაუმორჩილებლობა და მათ წინააღმდეგ წასვლა, იკვეთება დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზად/მოტივად.

ფემიციდის საქმეთა მონიტორინგი ჩატარდა სამ ეტაპად. **კვლევის პირველი ეტაპი** გულისხმობდა ფემიციდთან და ფემიციდის მცდელობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის და გა-

2 „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: ქალთა გენდერული მკვლელობები“ 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

3 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

4 Latin American Model Protocol for the Investigation of Gender-related Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“ - შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 13-14.

5 მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2016 წლის ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშში. გვ. 6-10. ონლაინ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2KrEn9k> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 აპრილს].

მამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვას საერთო სასამართლოებიდან,⁶ ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების გამოთხოვას საქართველოს გენერალური პროკურატურიდან.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე პრობლემა გამოიკვეთა უწყებების მიერ ფემიციდის შემთხვევებზე სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობის გამო, უწყებების მიერ ქალთა გენდერულ მკვლელობებთან დაკავშირებით წარმოებული სტატისტიკა ხშირად ეწინააღმდეგება ან არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც, თავის მხრივ, ართულებს უწყებებს შორის კოორდინაციასა და კომპლექსურ მუშაობას. მაგალითად, პროკურატურამ მოგვანოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ 2014 წელს არ გამოვლენილა თვითმკვლელობამდე მიყვანა, ეს მაშინ, როცა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ამ წელს განიხილა გენდერული მოტივით ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმე და ამ ქმედების ჩადენისათვის პირი ცნო მსჯავრდებულად.

კვლევის მეორე ეტაპზე გაანალიზდა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებიდან მიღებული გამამტყუნებელი განაჩენები, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.

კვლევის მესამე ეტაპზე სასამართლოდან გამოვითხოვეთ საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე, ასევე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მართლმსაჯულების განხორციელების ხარვეზების გამოსავლენად.⁷

ზემოხსენებული თავისებურებების გათვალისწინებით, წინამდებარე ანგარიში არ ასახავს რაოდენობრივი კვლევის შედეგებს და შესაბამისად, სტატისტიკური ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს კვლევა, მხოლოდ სასამართლოებიდან გამოთხოვილი და მოწოდებული საქმის მასალებიდან მიღებული ინფორმაციაა და არ უნდა აღვიქვათ, როგორც 2014-2015 წლებში მომხდარი ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტების ზუსტი სტატისტიკა.

2014-2015 წელს მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატს სასამართლოებიდან მიეწოდა 69 განაჩენი, აქედან კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ფემიციდი (ფემიციდის მცდელობა) იკვეთებოდა 38 შემთხვევაში. ყველა საქმეში დანაშაული მოხდა 2014-2015 წლებში. ყოველ მათგანში ამა თუ იმ ფორმით იკვეთებოდა გენდერული მოტივი, ასევე, გამოძიებას ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეკვეთა გენდერული მოტივი.


6 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ მუხლი 111), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ 117.2), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ მუხლი 115), სსკ-ის 19, 108ე და 19, 109ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). მუხლების ჩამონათვალს, 2018 წელს დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ასევე, 118.2 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, სადაც, შეიძლება, ასევე გამოიკვეთოს ფემიციდი. დამატებით, გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სისხლის სამართლის იმ მუხლებთან დაკავშირებით, სადაც, შესაძლებელია, ასევე გამოკვეთილიყო ფემიციდის სხვადასხვა ტიპი. კერძოდ, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 138.3.ბ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133'3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ 133'3), ადამიანი თევზის (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 143'4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ მუხლი 144'3.გ). თუმცა აღნიშნული მუხლებით არცერთი საქმე არ განხილულა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი: 12.02.2019, №3-115-19.

7 საქმეთა ნაწილი სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა მატერიალური სახით, ხოლო საქმეების ნაწილს გავეცანით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში.


2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობების სტატისტიკა

გენდერულად მოტივირებული მკვლელობების და მკვლელობის მცდელობების საქმეებზე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია აჩვენებს,⁸ რომ ქალთა მკვლე-

ლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2014 წელს (სულ 35 ფაქტი), მომდევნო წელს კი ეს რიცხვი შემცირდა.



დიაგრამა N1: ქალთა მკვლელობა: პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკა 2014-2015




დიაგრამა N2: ქალთა მკვლელობის მცდელობა: პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკა 2014-2015


საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტმა, 2014-2015 წლებში მომხდარი ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის სულ 38 საქმე გააანალიზა. გააანალიზებული 38 საქმიდან 24

შემთხვევა მომხდარია 2014 წელს, ხოლო 14 – 2015 წელს. 38 საქმიდან 22 ეხება ფემიციდის, ხოლო 16 ფემიციდის მცდელობას:


8 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილები: №13/58062, 09/08/2019 წ; №13/86342, 10/12/2019 წ; №13/86239, 09/12/2019 წ; №13/1865, 14/01/2020 წ.




დიაგრამა N3: ფემიციდის ჩამდენი ოჯახის წევრები



დიაგრამა N4: ფემიციდის ჩამდენი გარეშე პირები



დიაგრამა N5: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი ოჯახის წევრები




დიაგრამა N6: ფემიციდის მცდელობის ჩამდენი გარეშე პირები


სტატისტიკა აჩვენებს, რომ როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას, ყველაზე ხშირად ქალის მიმართ ჩადიან ქმრები ან ყოფილი ქმრები. ასევე, რამდენიმე შემთხვევაში, როგორც ფემიციდი, ისე ფემიციდის მცდელობა ჩადენილია შეყვარებულის⁹ მხრიდან, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ოდესმე ერთად, ან თანაუგრძნობდა თუ არა მსხვერპლი მას.

დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი იკითხება ბრალდებულის, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებში, სადაც ხშირია გენდერულად განსაზღვრული ლექსიკის გამოყენება. მიუხედავად ამისა, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოს ეტაპზე, პრობლემურია გენდერული მოტივის გამოკვეთა და მასზე მსჯელობა. ყველაზე ხშირად, როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად მითითებულია „შურისძიება“ და „ეჭვიანობა“.

9 ტერმინი „შეყვარებული“ მოიაზრებს როგორც პირებს, რომლებსაც, რამდენადაც ეს საქმის მასალებიდან ირკვევა, არ ჰქონდათ ერთმანეთთან სექსუალური კავშირი, ასევე პირებს, რომლებსაც ცალმხრივად უყვარდათ მეორე პირი, მეორე მხარისათვის ეს ცნობილი იყო, მაგრამ არ თანაუგრძნობდა.




დიაგრამა N7:
ფემიციდის ჩადენის მოტივი




დიაგრამა N8:
ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი

განალიზებული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილი უფრო ხშირად არის სახლი, რაც, ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ფემიციდის, როგორც გენდერული დანაშაულის ხასიათს. ამასთან, აღსა-

ნიშნავია, რომ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ბევრი საქმე იყო დაკავშირებული ქალის მიერ „საოჯახო როლის“ შესრულებასთან თუ ვერ შესრულებასთან, რაც უშუალოდ წინ უძღოდა დანაშაულს.



დიაგრამა N9:
ფემიციდის ჩადენის ადგილი




დიაგრამა N10:
ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი


როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის იარაღი, უმეტესწილად იყო დანა.¹⁰ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირებიდან, დანაშაულის ჩადენისას, უმეტესობა ფხიზელი იყო, თუმცა სხვაობა მცირეა.¹¹ განალიზებული საქმე-

ებიდან ირკვევა, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე პირია, და დანაშაულის ჩადენის პერიოდში - უმუშევარი.¹² რაც შეეხება დანაშაულის ჩამდენ პირთა ნასამართლობას, სტატისტიკა ასე გამოიყურება:

10. ფემიციდის ჩადენის იარაღი 1 შემთხვევაში იყო ლითონის საგანი, 1 - მანქანის გადატარება, 1 - ჩაქუჩი, 2 ხელით მოხრჩობა, 2 ხის ტაბურეტი, 2 ნაჯახი, 3 ცეცხლსასროლი იარაღი, 9 - დანა. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, 1 შემთხვევაში დანაშაულის იარაღი იყო ბლაგვი საგანი, 1 - საყვავილე, 1 ხმალი, 1 - ქვა, 1 - ბენზინი, 1 ნაჯახი, 2 - ცემა, 7 - დანა, ხოლო 1 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანას.
11. ფემიციდის შემთხვევებში 11 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს ფხიზელ მდგომარეობაში იყო, ან დაუდგენელია, იყო თუ არა ნასვამი, ასევე 11 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის საქმეებს, 9 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო ფხიზელ მდგომარეობაში, ან დაუდგენელია იყო თუ არა ნასვამი, ხოლო 7 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო.
12. ფემიციდის ჩამდენი პირებიდან 18 იყო საშუალო განათლების მქონე, 3 - უმაღლესი განათლების მქონე, 1 - არასრული უმაღლესი. რაც შეეხება დასაქმების მონაცემებს, 13 ბრალდებული იყო უმუშევარი, 3 - პენსიონერი, 4 - დასაქმებული, 2 თვითდასაქმებული. ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირებიდან 11 იყო საშუალო განათლების მქონე, 4 - უმაღლესი განათლების მქონე, 1 - არასრული უმაღლესი. რაც შეეხება დასაქმებას, 10 ბრალდებული იყო უმუშევარი, 4 - დასაქმებული, 2 - თვითდასაქმებული.



დიაგრამა N:11
ფემიციდის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა




დიაგრამა N:12
ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირთა ნასამართლეობა

სტატისტიკის ქრილში ასევე გაანალიზდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი დაზარალებული ქალების და ბრალდებული კაცების რაოდენობა. პირის ეთნიკურ უმცირესობად მიჩნევისას გამოვიყენეთ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმი. ობიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის მიერ ქართული ენის არცოდნა ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. სუბიექტურ კრიტერიუმად მიჩნეულია ის გარემოება, რომ იმის მიუხედავად, რომ ადამიანი ფლობს ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეა,

გამოძიებასა და სასამართლოში აცხადებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია.¹³

რაც შეეხება სასჯელებს, ყველაზე მკაცრი სასჯელი - 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ცოლისთვის ხმლით ყურების მოჭრის ფაქტზე გამოიყენა.¹⁴ ფემიციდისათვის ყველაზე მსუბუქი სასჯელი (3 წლით თავისუფლების აღკვეთა) გამოიყენეს 4 საქმეზე, თბილისის, ბათუმის და ზუგდიდის რაიონულმა სასამართლოებმა.¹⁵



დიაგრამა N:13:
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირები ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში

13 არც ობიექტური და არც სუბიექტური კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში, არც ბრალდებული, და არც დაზარალებული არ ყოფილან შეყვანილი ეთნიკური უმცირესობის სტატისტიკაში. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ საქმეში იყვნენ არაქართული გვარის მატარებელი ბრალდებულები და დაზარალებულები, ისინი არ ყოფილან მიჩნეულები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებად, ვინაიდან არც სუბიექტურ, არც ობიექტურ კრიტერიუმს არ უარსებია მათ ასეთად მისაჩნევად.

14 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/5013-14.

15 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/664-15; ბათუმის საქალაქო სასამართლო საქმე №1-1197/14; თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/6028-14.

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

კვლევის მიზნით გაანალიზებულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის ყველა საქმეში დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ ეჭვიანობა, მესაკუთრული დამოკიდებულება, ქცევის კონტროლი ან/და გენდერული როლის მორჩილების მოთხოვნა იკვეთება.

დანაშაულის ჩადენის მოტივია მსხვერპლის მიერ დამნაშავის მიმართ დაუმორჩილებლობა, პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის მიმართ დაკისრებული გენდერული როლის შეუსრულებლობა, მსხვერპლი ქალის მიერ დანაშაულის ჩამდენ მამაკაცთან ცხოვრების უარყოფა. ზოგიერთ საქმეში სიცოცხლის მოსპობის მიზეზი მამაკაცის მიერ ქალის სხეულით სექსუალური დაკმაყოფილების მიღებაა.

ასევე გვხვდება ასოციაციური ფემიციდის შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩამდენი მამაკაცები მსხვერპლად ირჩევენ შურისძიების ობიექტი ქალის ოჯახის წევრ ქალებსა და გოგონებს. ფემიციდი ან ფემიციდის მცდელობა ზოგჯერ უკავშირდება ქალის მიმართ ეკონომიკურ ძალადობასაც, კერძოდ, ქმრის ან ყოფილი ქმრის მიერ ქალისათვის საცხოვრებელი სახლით სარგებლობის უფლების ხელის შეშლასაც.

გენდერული მოტივი უფრო ხშირად იკვეთება თავად ბრალდებულების აღიარებით ჩვენებებში. ბრალდებულები მათ მიერ ჩადენილ მკვლელობას იმით ხსნიან, რომ მსხვერპლმა უარი უთხრა ცოლად

გაყოლაზე, ან ყოფილმა ცოლმა უარი უთხრა შერიგებაზე. მკვლელობა კი, მამაკაცის მხრიდან, სასჯელია ქალის ამგვარი თავისუფალი არჩევანის გამო.

ასევე გვხვდება საქმეები, როცა ყოფილი ქმრები ცოლებს სხვა მამაკაცთან ურთიერთობის გამო სჯიან. პატრიარქალურ საზოგადოებაში გათხოვილი ან განქორწინებული ქალის მიერ მეგობარი მამაკაცის ყოლა გასაკიცხი საქციელია, მაშინ როდესაც დაქორწინებულ (განქორწინებულ) მამაკაცს ამავე ქმედების გამო, საზოგადოება არ კიცხავს. ასეთ შემთხვევაში ხდება ე.წ. „ღირსების მკვლელობები“ - ქალის დასჯა პატრიარქალური საზოგადოების მიმართ შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო.

მკვლელობის მცდელობის მიზეზები ხდება ქალის მიერ ე.წ. „დიასახლისის“ და კაცის მსახურის მოვალეობების ჯეროვნად შეუსრულებლობა: მაგალითად, საქმე, როდესაც ქმარმა ცოლის მოკვლა პურის დანვის გამო სცადა. ასევე აღსანიშნავია შემთხვევა, როცა ქალის მკვლელობის მცდელობის მიზეზი გახდა ქმრის, როგორც „ოჯახის უფროსის“ მითითებების დაუმორჩილებლობა საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით: მაგალითად, საქმე, როდესაც ქმარმა ცოლის ბენზინით დაწვა სცადა იმის გამო, რომ ცოლი არ დაემორჩილა ქმრის მითითებას და შემდგომი რეალიზაციის მიზნით სახლში მეორადი ტანსაცმელი მიიტანა.

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

4.1 დაზარალებულად ცნობა

2014-2015 წლებში პრობლემა იყო დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დროულად ცნობა. საქმის მასალების დეტალური ანალიზით ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ყველა განსახილველ საქმეზე მოხდა შესაბამისი პირის დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, დადგენილება, უმეტეს შემთხვევაში, რამდენიმე თვის დაგვიანებით მიიღეს.

4.2. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება

2014-2015 წლების დადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს ის, რომ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა უმრავლესობაში, პროკურატურა სასამართლოსაგან ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობას ითხოვდა და სასამართლო ამ შუამდგომლობას ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებდა. თუმცა იყო ისეთი შემთხვევაც, როცა პროკურატურამ ბრალდებულის მიმართ გირაო ისე მოითხოვა, რომ თავად ბრალდებული სხდომას არ დასწრებია და სასამართლოს არ მოუსმენია მისი აზრი, შეძლებდა თუ არა გირაოს თანხის გადახდას.¹⁶

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დანაშაულის ჩადენამდე, რისთვისაც პროკურატურა ითხოვდა გირაოს შეფარდებას, ვ.ბ. სისტემატურად ძალადობდა ცოლზე. შესაბამისად, არსებობდა იმის ალბათობა, რომ გირაოს შეფარდების შემდეგ, ბრალდებულ ვ.ბ.-ს ყოფილ ცოლზე კვლავაც ეძალადა. სასამართლოს სხვა შესაძლებლობა არ გააჩნდა გარდა იმისა, რომ გირაოს დაკისრების თაობაზე შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა. თუმცა სასამართლოს განჩინების შემდეგ, ბრალ-

დებულმა არც გირაოს თანხა გადაიხადა და არც გამოძიებასთან ითანამშრომლა. ამის გამო ბრალდებულს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება და პატიმრობა დაეკისრა. შესაბამისად, ამ საქმეში გაუგებარი დარჩა, პროკურატურამ თავიდანვე რატომ არ მოითხოვა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება.

4.3 ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევა

ფემიციდი და ფემიციდის მცდელობა ხშირად არის გენდერული უთანასწორობის და სისტემატური გენდერული ძალადობის კულმინაცია, შესაბამისად, დანაშაულის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად კვალიფიკაციის დროს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, განიცდიდა თუ არა მსხვერპლი დამნაშავის მხრიდან გენდერულ დისკრიმინაციას და ძალადობას მკვლელობის ჩადენამდე. ძალადობის წინა ისტორიის გამოკვლევა, მნიშვნელოვანია დანაშაულის მოტივის გამოსაკვლევად და სასჯელის შესაფარდებლად.

საქმეთა ანალიზიდან იკვეთება, რომ 2014-2015 წლებში გამოძიება ცალსახად არ ინტერესდებოდა იმ ძალადობრივი ინციდენტებით, რომლებიც წინ უძღოდა ფემიციდს ან ფემიციდის მცდელობას. ზოგჯერ ფემიციდი იმით იყო გამოწვეული, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტს პოლიციის მხრიდან დროული და ეფექტიანი რეაგირება არ მოჰყოლია.

2014-2015 წლებში, სისხლის სამართლის საქმეებს, ჩვეულებრივ არ ახლდა დაზარალებულის მიერ პოლიციისთვის მიმართვის ან პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მტკიცებულება. ამის მიუხედავად, დაზარალებული და მოწმეები დაკითხვის/გამოკითხვის ოქმებში მიუთითებდნენ ძალადობის წინაისტორიის თაობაზე. გამოძიება

16 ბათუმის საქალაქო სასამართლო საქმე ვ.ბ.-ს №1-1197/14.

არ ცდილობდა სხვა წყაროებთან, მაგალითად, შესაბამის პოლიციის განყოფილებაში გადაემოწმებინა დაზარალებულისა და მოწმისაგან მიღებული ეს ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გამოითხოვა ინფორმაცია კვლევაში გაანალიზებულ საქმეებზე ძალადობის წინარე მიმართულების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის საქმეებიდან, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის ჩადენამდე დაზარალებულმა ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შესახებ განაცხადა - 4 შემთხვევაში, 2015 წელს - ერთ შემთხვევაში.¹⁷

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზმა გამოავლინა პოლიციის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემთხვევები, რასაც შემდგომ ფემიციდი მოჰყვა.^{18 19} გაანალიზებული საქმეებიდან იკვეთება, რომ პოლიციის დროული და ეფექტიანი რეაგირების არარსებობამ გამოიწვია მოძალადის მხრიდან უფრო მძიმე ძალადობის - ფემიციდის ან/და ფემიციდის მცდელობის ჩადენა დაზარალებულის მიმართ.

4.4 დანაშაულის კვალიფიკაცია

ფემიციდის საქმეებზე, მნიშვნელოვანია, დანაშაულის კვალიფიკაცია შესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია გენდერულად მგრძნობიარე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებობა, სადაც ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს ბრალდების და სასამართლო ორგანოების მხრიდან სათანადო აღიარება, კვალიფიკაცია და დასჯა მოჰყვება.

კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ცემას და ბოთლების მეშვეობით ქალის გაუპატიურებას. ეს საქმე თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა.²⁰ ამ საქმეში ქალის სიკვდილი გამოიწვია სუნთქვის უკმარისობამ. ამის გამო ბრალდებულს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). ეს ნორმა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე და სასამართლობის გამო ბრალდებულს ხუთი წელი შეეფარდა.

17 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილები MIA 0 19 02918078, 01/11/2019; MIA 4 19 03205090, 29/11/2019. მოცემული ინფორმაცია წინარე მიმართულების შესახებ ეყრდნობა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წერილობით მოწოდებულ ინფორმაციას.

18 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს რ.კ-ს საქმე №1/688-14.

19 თბილისის საქალაქო სასამართლო ი.ს-ს საქმე №1/642-15.

20 თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 აგვისტოს №1/80-14 საქმე.

5. სასამართლო ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები

5.1 53-3¹ მუხლის გამოყენების სპეციფიკა

საანგარიშო პერიოდისათვის მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ მუხლი, რაც გენდერული მოტივით ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ან მკვლელობის შემთხვევაში, მოსამართლეს გენდერული მოტივის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევის და სასჯელის დამძიმების ვალდებულებას აკისრებდა. ამის მიუხედავად, 2014-2015 წლებში მომხდარი გენდერულად მოტივირებული 38 დანაშაულიდან სასამართლომ მხოლოდ 5 საქმეში დაამძიმა სასჯელი. უნდა ითქვას, რომ ამ 5-დან სასამართლოს არცერთ საქმეში არ მიუთითებია სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ მუხლზე.

გენდერული მოტივი მხედველობაში იქნა მიღებული სასჯელის დანიშვნისას ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენით, საქმეზე, როდესაც ოჯახური კონფლიქტის გამო ქმარმა ცოლი მეოთხე სართულის აივნიდან გადმოაგდო.²¹ ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მკვლელობის მცდელობისათვის დანიშნა 8 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა (სასჯელის მინიმუმი ამ დანაშაულისათვის არის 7 წლით თავისუფლების აღკვეთა). აღნიშნული სასჯელის დანიშვნა ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგი არგუმენტი: „დანაშაული მიმართულია საყოველთაოდ აღიარებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების წინააღმდეგ და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით, ვინაიდან ქმედება მიმართულია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის, განსახილველ შემთხვევაში - მეუღლის მიმართ, რაც ბოლო დროს გახშირებულია როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბითაც“. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტი ამ საქმეში არ არის ნახსენები.

ახალგაზრდა ქალის მკვლელობის გამო (შეყვარებულმა ეჭვიანობის და სასიყვარულო ურთიერთობაზე უარის გამო მოკლა გოგონა) თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცვლილება შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელში. რუსთავის საქალაქო სასამართლოს ფემიციდისთვის დანიშნული ჰქონდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.²² თბილისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელი ორი წლით დაამძიმა, რაც შემდეგნაირად ახსნა: „პალატას მიაჩნია, რომ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, **მკვლელობა ჩადენილია ახალგაზრდა ქალის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ გამოყენებული უნდა იქნეს უფრო მკაცრი სასჯელი**“. მისასალმებელი ფაქტია ის, რომ სასამართლოები ამძიმებენ ფემიციდის ჩადენის გამო სასჯელს, თუმცა ამის გაკეთება შესაძლებელი იქნებოდა ქალის ასაკზე მიუთითებლად. ფემიციდი თავისთავად არის სახიფათო დანაშაული იმის მიუხედავად, თუ რა ასაკის ქალია მსხვერპლი.²³

კიდევ ერთი საქმე, როცა სასამართლომ ფემიციდისთვის სასჯელი დაამძიმა, იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომელიც სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, 23 წლით უფროსი ქალის მოკვლას და გვამთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ეხებოდა. ამ საქმეშიც სასამართლომ პირს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად ის კი არ მიიჩნია, რომ ქალი სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით მოკლეს, არამედ, ასაკობრივი განსხვავება ბრალდებულსა და ქალს შორის, ასევე ის გარემოება, რომ მოკლულ ქალს ჰყავდა ოჯახი - ქმარი და სამი შვილი. სასამართლოს თქმით: „მისი (ბრალდებულის) დანაშაულებრივი მოქმედება მიმართულია ისეთი პიროვნების მიმართ, რომელიც თავისი ასაკისა და ოჯახური

21 ბოლნისის რაიონული სასამართლოს №1/146-14 საქმე.

22 2015 წლის 28 სექტემბრის რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1/285-15.

23 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი.

მდგომარეობით განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა ბრალდებულის მხრიდან.²⁴ ამგვარად, ხშირად სასამართლო თავად ხდება პატრიარქალური შეხედულებების წამახალისებელი, რომლის მიხედვითაც, დაოჯახებული ქალის, დედის მკვლელობა უფრო მკაცრად უნდა ისჯებოდეს, ვიდრე იმ ქალის, რომელსაც არა ჰყავს ოჯახი და არ არის დედა. თუმცა, ამასთან ერთად, ეს არის საქმე, სადაც ფემინიციდისთვის სასჯელი დამძიმდა, თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ მუხლის მიუთითებლად.

იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტი არ არის მითითებული, ყველაზე სანიმუშოდ მაინც თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენია დასაბუთებული, რომელიც ეხება მეგობარი მამაკაცის მიერ ქალის მკვლელობას იმის გამო, რომ ქალმა მასთან ურთიერთობის განწყვეტა მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენში აღნიშნა: „სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დაშაულის მოტივს – ს.ა.-ოვმა მხოლოდ იმის გამო მოკლა ა.ო.-ანი, რომ ეჭვიანობდა მასზე და ა.ო.-ანს **თავისუფალი ნების საფუძველზე სურდა მასთან ურთიერთობის შეწყვეტა**“.²⁵ მათ შორის, აღნიშნული გენდერული მოტივის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს დაუნიშნა 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ეს სასჯელი მკაცრი და ადეკვატური იყო დანაშაულის გენდერული მოტივის გათვალისწინებით.

ამის მიუხედავად, გვხვდება გაცილებით ბევრი შემთხვევა, როდესაც სასჯელის დანიშვნის დროს, გენდერული მოტივი მხედველობაში საერთოდ არ მიიღება. ფემინიციდის და ფემინიციდის მცდელობის **38-დან 11 საქმეში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება**. მაშინ როდესაც პროკურატურა უთანხმდება ბრალდებულს სასჯელზე და საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა ჯდება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი სანქციის ფარგლებში, მოსამართლეს სხვა გამოსავალი არა აქვს გარდა იმისა, რომ დაამტკიცოს ამგვარი საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების დროს სასამართლო შემოიფარგლება საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელის კანონიერების შემოწმებით და არ მსჯელობს ამ სასჯელის

პროპორციულობაზე. სასჯელი, რომელიც სანქციის ფარგლებში ჯდება, კანონიერია და მოსამართლეს, ასეთ შემთხვევაში, მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ დანაშაულში გამოკვეთილი გენდერული მოტივის გამო, უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე შეთანხმებული სასჯელის ზედმეტი ღმობიერების გამო.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული და პროკურატურა სანქციის მინიმუმზე უფრო დაბალი სასჯელის ზომის გამოყენებაზე თანხმდებიან. ორ საქმეში, სადაც ამკარად იკვეთებოდა გენდერული მოტივი, სასამართლომ, ამის მიუხედავად, საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, ერთ შემთხვევაში, პირს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა დაეკისრა,²⁶ ხოლო მეორე შემთხვევაში - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ, როცა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციით სასჯელის მინიმალური ზომა იყო 16 წლით თავისუფლების აღკვეთა,²⁷ ხოლო მაქსიმალური ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ საქმეში მოსამართლეს შეეძლო არ დაეკმაყოფილებინა პროკურატურის შუამდგომლობა სწორედ გენდერული მოტივის არსებობის პირობებში შეუსაბამოდ ღმობიერი სასჯელის მოთხოვნის გამო. თუმცა ეს ასე არ მომხდარა.

სასამართლომ არსებითად იმსჯელა 27 საქმეზე, და მათგან გენდერული მოტივით სასჯელი მხოლოდ 4 საქმეზე დაამძიმა. მართალია, 23 საქმეზე გენდერული მოტივი იკვეთებოდა, თუმცა ამის გამო სასამართლოებს სასჯელი არ დაუმძიმებიათ. უფრო მეტიც, როდესაც საქმეში გენდერული მოტივი იკვეთებოდა, სასამართლო აცხადებდა, რომ საქმეში დამამძიმებელი გარემოებები არ არსებობდა.

2014-2015 წლებში გვხვდებოდა საქმეები, მაგალითად, ბენზინის მისხმით ცოლის მკვლელობის მცდელობის საქმე, როცა ქმარს შეუმსუბუქეს სასჯელი.²⁸ ამ საქმეში ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მსხვერპლისა და ბრალდებულის ახლო ნათესაური ურთიერთობა დაასახელა და ბრალდებულს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმა-

24 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/324-2016 საქმე.
25 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3408-14 საქმე.
26 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/5043-15.
27 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4605-14.
28 ზუგდიდის რაიონული სასამართლო საქმე №1-467-14.

ლური ზომა - 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მიზეზი, რის გამოც აიხსნება პრაქტიკაში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ გამოყენებლობა, მოსამართლეთა ცნობიერების ნაკლებობაში მდგომარეობს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იგულისხმება ამ მუხლში ჩანერილ სიტყვებში, „გენდერის ნიშანი“. იმ პირობებში, როდესაც გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობა ახლა უკვე სსკ-ის 109-ე მუხლის სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს, მომავალში, შესაძლოა, პრობლემა გახდეს სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტის გამოყენება ფემიციდის საქმეებში.

5.2. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული გარემოებები

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით, მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

სასამართლოს გადანყვეტილებების უმეტესობაში დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად მითითებულია: ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება, მისი მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობა და ის გარემოება, რომ ბრალდებული ხასიათდება დადებითად. ბრალდებულის დადებითად დახასიათების ასპექტები, ჩვეულებრივ არ ჩანს განაჩენიდან, თუმცა ერთ-ერთ საქმეს ახლავს მეზობლების ხელმოწერა, რომ ბრალდებული დადებითი პიროვნებაა, იმიტომ რომ წარსულში მეზობლებს სხვადასხვა სამუშაოებში ეხმარებოდა.

არსებობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენი, სადაც ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან თანამშრომლობა არ არის მიჩნეული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. თუმცა ეს გარემოებები მხედველობაში იქნა მიღებული სასჯელის დანიშვნისას.²⁹

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დანაშაულის აღიარება და გამოძიებასთან თანამშრომლობა სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად არის მიჩნეული მაშინაც, როცა ფემიციდი ხდება საჯარო ადგილას, უამრავი მოწმის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როცა საქმეში არსებობს უამრავი პირდაპირი მტკიცებულება, რაც აღიარების გარდა სხვა გამოსავალს არ უტოვებს ბრალდებულს, და ამ აღიარების გარეშეც პირდაპირი მტკიცებულებებით საკმარისი იქნებოდა გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

მნიშვნელოვანია, რომ ფემიციდის სპეციფიკის გათვალისწინებით დანაშაულის აღიარება, მაშინ როდესაც ბრალდებული არ ნანობს ჩადენილ დანაშაულს და მეტიც, ქალის მკვლელობა ღირსებად მიაჩნია და დანაშაულს ამიტომ აღიარებს, არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, ცვლილება შეიტანა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში³⁰ და სასჯელი ერთი წლით მხოლოდ იმიტომ შეამსუბუქა, რომ მსჯავრდებულმა აღიარა დანაშაული და გამოძიებასთან ითანამშრომლა.

გარდა ამისა, გვხვდება საქმეები, სადაც შემამსუბუქებელ გარემოებად მითითებულია ბრალდებულის შეზღუდული შერაცხადობა, რაც გამოწვეული იყო ფსიქიკური აშლილობით.³¹ ამ საქმეებში ბრალდებულებს აქვთ ფსიქიკური აშლილობის იმგვარი ფორმა, რომელიც ქმედების მართლწინააღმდეგობის აღქმას და საკუთარი ქმედების ხელმძღვანელობას არ გამოორიცხავს.

რაც ყველაზე საინტერესოა, ერთ-ერთ საქმეში მსუბუქი სასჯელის გამოყენების მიზეზი გახდა ბრალდებულის მიერ ცოლის მკვლელობის მცდელობა ნასვამ მდგომარეობაში.³² იმის გათვალისწინებით,

29 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს №1-349-14.4.

30 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3408-14.

31 ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №11/292-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3503-15.

რომ ადამიანები ნებაყოფლობით იყენებენ თავს ნასვამ მდგომარეობაში, რის გამოც ისინი უფრო აგრესიულები ხდებიან, საკამათოა, ამ გარემოებამ რამდენად უნდა შეამციროს სასჯელი და არა პირიქით, დაამძიმოს ის. სასჯელის განსაზღვრისას ზოგჯერ მხედველობაში მიიღება ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და ის გარემოება, ხომ არ ჰყავს ბრალდებულს რჩენაზე მყოფი პირები.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, უმეტეს შემთხვევაში, ეს არის ბრალ-

დებულის ნასამართლობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენში სასჯელი გენდერულ მოტივთან ერთად დამძიმდა იმის გამო, რომ ბრალდებულს მიდრეკილება ჰქონდა ძალადობისკენ. ამავე საქმეში დამძიმდა იმ ტკივილის გამოც, რომელიც არასრულწლოვან ბავშვს დედის მოკვლის გამო მიადგა. ამ საქმეში დამამძიმებელ გარემოებად იქნა მიჩნეული დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობების რაოდენობა და მსჯავრდებულის მიდრეკილება, ეტარებინა ცივი იარაღი.³³ თუმცა ეს გარემოებები სხვა არცერთ საქმეში არ ყოფილა მიჩნეული დამამძიმებლად.

32 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1-467-14.

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3408-14.

6. სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინებების/დადგენილებების ანალიზი

2014-2015 წლებში, სახალხო დამცველის აპარატს, დადგენილებები/განჩინებები გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, 19 საქმეზე მოეწოდა.³⁴ მათგან 13 საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო შეწყდა, 3 საქმეზე - ბრალდებულის გარდაცვალების გამო, ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო, გამოძიება შეწყდა 3 საქმეზე.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქმეებზე მომხდარ დანაშაულის ფაქტამდე შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ძალადობის თაობაზე შესული შეტყობინებების თაობაზე. 2014 წელს მომხდარ იმ საქმეებზე, რომლებზეც დევნა ან გამოძიება ქალისათვის სიცოცხლის მოსპობამდე ან სიცოცხლის მოსპობის მცდელობამდე შეწყდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეტყობინება მხოლოდ 1 საქმეზე იყო შესული,³⁵ 2015 წელს - 2 საქმეზე.³⁶

სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც ჩადენილია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიერ, შეურაცხადობის მდგომარეობაში. ამის მიზეზი იმ გარემოების დადგენის სირთულეა, რამ-

დენად აღიქვამენ აღნიშნული პირები გენდერის კონცეფციას და მისგან გამომდინარე სოციალურ როლებს.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ მოწოდებული განჩინებები სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ, ზოგჯერ თითქმის არ შეიცავს მითითებას საქმის ფაქტობრივი გარემოების თაობაზე. კერძოდ, ასეთ განჩინებებში არ გვხვდება მითითება, რა ფაქტობრივ გარემოებებში შეეცადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მოეკლა ქალი ან რა გარემოებებში მოკლეს ქალი.

პროკურატურიდან მოწოდებული დადგენილებებიდან სამ საქმეზე გამოიკვეთა ფემიციდის ნიშნები. სამივე შემთხვევაში, გამოძიების შეწყვეტის მიზეზი ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალება (თვითმკვლელობა) იყო. ყველა შემთხვევაში, პროკურატურა საქმის შეწყვეტისას ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რომელის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ ბრალდებული გარდაიცვლება.

34 საქმეები ძირითადად დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 108-ე, 109-ე, 19109-ე, 111-108-ე, 111-109-ე, 111-19-108-ე მუხლებით

35 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი: MIA 9 19 03066775, 15/11/2019.

36 იგივე.

დასკვნა

2014-2015 წლის ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის კუთხით ფემიციდთან ბრძოლისა და ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით არაერთი გამოწვევა იდგა.

საქმეთა შესწავლამ გამოავლინა ისეთი ხარვეზები, როგორიც არის დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის პრობლემა, ძალადობის წინარე ისტორიის გაუთვალისწინებლობა, დაზარალებულად დროულად ცნობის პრობლემა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში საპროცესო შეთანხმების დადების პრაქტიკა, რაც

მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს საკმაოდ ლმობიერს ხდიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა უმეტესობაში, მტკიცებულებებით იკვეთებოდა გენდერული მოტივი, არც პროკურატურას და არც სასამართლოს, არცერთ შემთხვევაში არ მიუთითებიათ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტზე, როგორც გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის ან დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ საფუძველზე. გარდა ამისა, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ბუნდოვან კრიტერიუმებზე უთითებდა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, შემუშავდეს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი
- შემუშავდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციული მონაცემების/სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგია და სახელმწიფო უწყებებმა უზრუნველყონ მისი ეფექტიანი აღსრულება.

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კრიტიკულად გააანალიზებს პრევენციის არსებულ სისტემას ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, იმუშავებს კონკრეტულად ფემიციდის პრევენციის სისტემის შექმნასა და დახვეწაზე.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის საკითხზე, სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- დასაშვებად ცნოს და განიხილოს ისეთი საკასაციო საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „გენდერის ნიშნით“ ჩადენილი დანაშაულების განმარტებასთან, რათა ხელი შეუწყოს ამგვარი დანაშაულების ერთგვაროვანი განმარტების პრაქტიკის ჩამოყალიბებას
- შეიმუშაოს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა გამოვლენის მეთოდი და აწარმოოს ზუსტი სტატისტიკა.

საერთო სასამართლოებს:

- მოსამართლემ განაჩენში დეტალურად დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება დანაშაულში გენდერული მოტივის არსებობა და დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენა; ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მეორე პუნქტის ციტირების შემთხვევაში, კონკრეტულად დასაბუთდეს, რატომ არის ამ ნორმის გამოყენება რელევანტური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით
- მოსამართლემ იზრუნოს, რომ ფემიციდის საქმეებზე არ გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ბრალდებულს არ დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის მინიმუმზე დაბალი სასჯელი, როდესაც ქმედებაში აშკარად იკვეთება გენდერული ნიშანი
- სახელმძღვანელოდ იქნეს მიჩნეული სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის ახალი რედაქცია და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელი (და არა შემამსუბუქებელი) გარემოებაა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- ქალის გენდერულად მოტივირებული მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის საქმეების შესწავლისას, იმ საქმეებში, სადაც დანაშაულის ჩადენამდე, ქალის მიერ, ძალადობასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვები იკვეთება, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა გამოიკვლიონ შესაძლო სამსახურებრივი გულგრილობის გარემოებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გაგრძელდეს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, შემუშავდეს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის გაზომვას
- ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანად დასაცავად და დასახმარებლად, განისაზღვროს გამომძიებელთა სპეციალიზაციის წესი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე
- გაუმჯობესდეს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, კერძოდ, გაანალიზდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ინტიმურ პარტნიორთა შორის, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის, ძალადობის სპეციფიკური მახასიათებლების შესასწავლად.

დანართი №1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა³⁷

პროკურატურის მონაცემებით, 2014-2015 წლებში 53 ქალის მკვლელობის ფაქტია აღნუსხული, საიდანაც 27 შემთხვევაში გამოიკვეთა ოჯახური დანაშაული, ხოლო 26 შემთხვევაში - სხვა მოტივი.

ასევე, ამავე წლებში 24 მკვლელობის მცდელობის ფაქტი იყო, საიდანაც 15 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოჯახური ნიშნით დანაშაულის ჩადენას, ხოლო 9 საქმეში გამოიკვეთა სხვა მოტივი.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობა (27 შემთხვევა)

ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მკვლელობიდან, 17 შემთხვევაში დევნა დაიწყო 11¹-108-ე მუხლით, 2 შემთხვევაში - 11¹-109-ე მუხლით, 3 შემთხვევაში - 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1 შემთხვევაში - 108-ე მუხლით, 1 შემთხვევაში - 109-ე მუხლით.

2 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალებას/თვითმკვლელობას, 5 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო, 1 შემთხვევაში - ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 8 შემთხვევა, დასავლეთ საქართველო - 5, კახეთი - 4, შიდა ქართლი - 3, აჭარა - 3, ქვემო ქართლი - 2, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1, 18 დან 30 წლამდე - 3, 30-დან 40 წლამდე - 8 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 3 ქალი; 50-60 - 2 ქალი, 60-დან 70 წლამდე - 6 ქალი; 70 წელს ზემოთ - 4 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი: ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის/ყოფილი ცოლის მკვლელობა - 18, შვილიშვილის მიერ ბებულის მკვლელობა - 1, შვილის მიერ დედის მკვლელობა - 4, მამამთილის მიერ რძლის მკვლელობა - 1, ბიძის მიერ მცირეწლოვანი დისშვილის მკვლელობა - 1, მაზლის მიერ რძლის მკვლელობა - 1, სიძის მიერ სიდედრის მკვლელობა - 1.

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობა (15 შემთხვევა)

ოჯახური დანაშაულის ნიშნით მკვლელობის მცდელობიდან 1 შემთხვევაში დევნა დაიწყო 19, 108-ე მუხლით, 2 შემთხვევაში - 19-109-ე მუხლით, 11 შემთხვევაში - 11¹-19-108-ე მუხლით, 1 შემთხვევაში - 11¹-19-109-ე მუხლით. 6 შემთხვევაში დევნა შეწყდა შეურაცხადობის გამო, 1 შემთხვევაში - პირის გარდაცვალების გამო.

37 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს წერილები: №13/58062, 09/08/2019 წ; №13/86342, 10/12/2019 წ; №13/86239, 09/12/2019 წ; №13/1865, 14/01/2020 წ.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა ასეთია: თბილისი - 4, დასავლეთი - 4, კახეთი - 1, შიდა ქართლი - 1, აჭარა - 1, ქვემო ქართლი - 1, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 3.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 5 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 7 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 11 შემთხვევაში დანაშაული ჩაიდინა ქმარმა ან ყოფილმა ქმარმა, 2 შემთხვევაში - ძმამ, 2 შემთხვევაში - შვილმა.

სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობა (26 შემთხვევა)

აღნიშნული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით დაიწყო: სსკ-ის 108-ე მუხლით - 12 პირის მიმართ, სსკ-ის 109-ე მუხლით - 11 პირის მიმართ. სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა 3 შემთხვევაში, ვინაიდან 2 შემთხვევაში, ჩატარებული გამოძიებით ვერ დადგინდა დანაშაულის ჩადენი პირის ვინაობა, 1 შემთხვევაში კი, პირის გარდაცვალების გამო. სისხლისსამართლებრივი დევნა 2 პირის მიმართ შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 7; დასავლეთი - 4; კახეთი - 3, შიდა ქართლი - 3, აჭარა - 1, ქვემო ქართლი - 3; სამცხე-ჯავახეთი - 5.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 3 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 4 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 4 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 4 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 4 ქალი; 70 წელს ზემოთ - 5 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 12 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 4 შემთხვევაში მეზობლის მიერ, 5 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში ინტიმური პარტნიორის მიერ, 2 შემთხვევაში - სავარაუდო პარტნიორის მიერ, 2 შემთხვევაში გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ.

სხვა მოტივით ჩადენილი ქალთა მკვლელობის მცდელობა (9 შემთხვევა)

3 პირის მიმართ დევნა დაიწყო 19.108-ე მუხლით, ხოლო 4 პირის მიმართ - 19.109-ე მუხლით.

1 საქმეზე დევნა შეწყდა ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 1, შიდა ქართლი -1, აჭარა - 5, ქვემო ქართლი - 1, სამცხე-ჯავახეთი - 1.

დაზარალებული ქალების ასაკი: 18 წლამდე - 1, 18-დან 30 წლამდე - 4; 30-დან 40 წლამდე - 1; 40-დან 50 წლამდე - 1; 50-დან 60 წლამდე -1; 60-დან 70 წლამდე - 1 ქალი.

ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი - 3 შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 1 შემთხვევაში - მეზობლის მიერ, 4 შემთხვევაში - უცნობის მიერ, 1 შემთხვევაში - ბიძაშვილის მიერ.

დანართი №2: განხილულ საქმეთა დეტალური ანალიზი

ქვემოთ განხილულია ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეები. ამასთან, ფემიციდის საქმედ მიჩნეულია არა მხოლოდ სისხლის სამართლის 108-ე და 109-ე მუხლით დაკვალიფიცირებული საქმეები, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა) მსჯავრდებულთა საქმეებიც, ვინაიდან ასეთი ძალადობა მსხვერპლი ქალის გარდაცვალებით დასრულდა.

რაც შეეხება ფემიციდის მცდელობას, ანგარიშში ასეთად მიჩნეულია 19-108-ე (განზრახ მკვლელობის მცდელობა), 19-109-ე (დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობა) მუხლებით, ასევე, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) და 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) კვალიფიცირებული საქმეები, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების მიუხედავად, მისი სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა.

2014 წელს მომხდარი სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

ფემიციდი

1. თ.რ.-ს საქმე (ოზურგეთის რაიონული სასამართლოს საქმე №085021014001)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2014 წლის 2 ოქტომბერს, თ.რ.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე შელაპარაკება მოუვიდა ცოლთან, ნ.რ.-სთან, რის შემდეგაც თ.რ.-მ თავის მეუღლეს თავში ნაჯახი ჩაართყა. ნ.რ. ადგილზე გარდაიცვალა. თ.რ.-ს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 111'-108-ე მუხლით.

2014 წლის 5 ოქტომბერს, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ განჩინებით დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და თ.რ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა გამოიყენა.

2015 წლის 26 თებერვალს, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ თ.რ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 111'-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას დაეყრდნო და აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებულს შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ემართა იგი (შერაცხადობა). შემდგომში, იზოლაციის პირობებში, თ.რ.-ს განუვითარდა ფსიქიკური აშლილობა. ეს დაავადება განაჩენის დადგენის მომენტშიც გრძელდებოდა. ამის გამო, მსჯავრდებული ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით³⁸, 2014 წლის 2 ოქტომბერს, თ.რ.-ს მიერ მეუღლის, ნ.რ.-ს მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, 2012 წლის 10 ნოემბერს უწყებაში შევიდა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, თ.რ.-ს და მის მეუღლეს თავიანთი მცირეწლოვანი შვილის გამო ჰქონდათ კონფლიქტი, ორივე მხარე გამოიკითხა და სიტყვიერი გაფრთხილება მიეცა.

2. ი.ჩ.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/305-14)

2014 წლის 20 ოქტომბრის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2014 წლის 18 ოქტომბერს ი.ჩ.-მ საკუთარ საცხოვრებელ სახლში განზრახ მოკვლის მიზნით, ცივი იარაღის გამოყენებით, მეუღლეს, ნ.ჯ.-ს ყელისა და კისრის არეში მიაყენა დაზიანებები, რის შედეგადაც ნ.ჯ. გარდაიცვალა. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 111-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) დაკვალიფიცირდა.

ი.ჩ. 2014 წლის 18 აგვისტოს 21 საათსა და 35 წუთზე დააკავეს. 2014 წლის 21 ოქტომბრის თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ი.ჩ.-ს პატიმრობა შეეფარდა. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 ივნისის განაჩენით, ი.ჩ. დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 12 წლით. ეს განაჩენი, 2015 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით, ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის 18 ოქტომბერს, ი.ჩ.-ს მიერ მეუღლის, ნ.ჯ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა, არ შესულა.³⁹

3. ზ.ტ.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/80-14)

2014 წლის 6 თებერვლის პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ.ტ.-მ ჩაიდინა თ.ც.-ს განზრახ მკვლელობა. 2014 წლის 2 თებერვალს, ღამის საათებში, ა.შ.-ს საცხოვრებელ სახლში ზ.ტ.-ს და თ.ც.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ. ზ.ტ. თ.ც.-ს მუცლის და გულმკერდის არეში ურტყამდა ფეხებს და ხელებს, რის შედეგადაც მიყენებული დაზიანებით თ.ც. გარდაიცვალა. დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაკვალიფიცირდა.

2014 წლის 7 თებერვალს, ზ.ტ.-ს, ა.შ.-სთან (ადამიანი, რომლის სახლშიც მოხდა მკვლელობა და რომელმაც დაფარა აღნიშნული ფაქტი, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით) ერთად, თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულების პირველი წარდგენის სხდომაზე, წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2014 წლის 27 თებერვლის დასკვნაში აღნიშნულია: თ.ც.-ს გვამს აღენიშნება შემდეგი დაზიანებები: გულმკერდის დახურული ბლაგვი ტრავმა, გულმკერდის მარცხენა ნახევარში 9-10 ნეკნის ირიბი მოტეხილობა წინა აქსილარულ ხაზზე, ძუძუს ხაზზე მე-1-2-3-4-5-6-7 ნეკნების მოტეხილობა, მარცხენა ფილტვის გაგლეჯილი ჭრილობა, ჰემო-პნევმოტორაქსი. ნაწევრები - მარჯვენა ბარძაყის და მარჯვენა მუხლის სახსრის არეში, სისხლჩაქცევები მარცხენა თვალებუდის და საშოს არეში. ზედაპირული ჭრილობები ლორწოვანზე. ეს დაზიანებები სიცოცხლის დროინდელია და განვითარებულია მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ერთობლიობაში მიეკუთვნება დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიშაო. თ.ც.-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია სუნთქვის მწვავე უკმარისობა, განვითარებული გულმკერდის ნახევარში დახურული ბლაგვი ტრავმით.

ამ დასკვნის მიღების შემდეგ, 2014 წლის 10 მარტს, ზ.ტ.-ს ქმედებას კვალიფიკაცია შეეცვალა და ახალი ბრალდების შესახებ დადგენილებით, მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის (სიცოცხლისათვის საშიშაო დაზიანებების მიყენება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია).

38 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

39 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

2014 წლის 11 აგვისტოს, თელავის რაიონულმა სასამართლომ ზ.ტ წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დანაშაულის დაფარვაში (სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი) დამნაშავედ ასევე ცნობილი იქნა ა.შ. და მას 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 2 თებერვალს, ზ.ტ.-ს მიერ თ.ც.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე (რამაც გამოიწვია გარდაცვალება), მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა, არ შესულა.⁴⁰

4. ე.ე.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/16-15)

2014 წლის 6 დეკემბერს, ე.ე.-მ, მეუღლის, მ.გ.-ს მოკვლის მიზნით, სახლიდან აიღო ცეცხლსასროლი იარაღი და მეუღლე მერსედესის მარკის ავტომობილით ერთ-ერთი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე წაიყვანა. ე.ე.-მ ავტომობილი მინდორში გააჩერა, მ.გ. მანქანიდან გადმოიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღით შეეცადა ცოლის მოკვლას. იარაღი მწყობრიდან გამოვიდა და ე.ე.-მ ვერ შეძლო გასროლა. ე.ე.-მ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, რამდენჯერმე შეაჯახა მანქანა მ.გ.-ს, რის შემდეგაც იგი გარდაიცვალა.

ე.ე.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაული. ე.ე.-ს ასევე წაუყენეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება).

ე.ე. 2014 წლის 6 დეკემბერს, 13 საათსა და 50 წუთზე დააკავეს. 2014 წლის 8 დეკემბერს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თელავის რაიონულმა სასამართლომ ე.ე.-ს პატიმრობა შეუფარდა. 2015 წლის 5 აგვისტოს, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენით, თელავის რაიონულმა სასამართლომ ე.ე.-სა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა. ე.ე. ორივე ბრალდებაში ცნეს დამნაშავედ. მკვლელობისათვის მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის - 1 წელი. მკაცრმა სასჯელმა შეთანხმდა მსუბუქი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ე.ე.-ს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 6 დეკემბერს, ე.ე.-ს მიერ მეუღლის, მ.გ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა, არ შესულა.⁴¹

5. თ.ა.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1-59/15)

2014 წლის 17 დეკემბერს, დაახლოებით 02:00 საათზე, თ.ა.-მ საცხოვრებელ სახლში, ეჭვიანობის საფუძველზე, მეუღლეს, ე.მ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით, განზრახ მოკვლის მიზნით, გულ-მკერდის არეში მიაყენა დაზიანებები, რის შედეგადაც ე.მ. გარდაიცვალა. დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის განზრახ მკვლელობა).

თ.ა. საავადმყოფოში, 2014 წლის 17 დეკემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე დააკავეს. თელავის რაიონული სასამართლოს მიერ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თ.ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. თელავის რაიონულმა სასამართლომ 2015 წლის 9 ივნისის განაჩენით, თ.ა. მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. აპელანტმა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და თ.ა.-ს ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლიდან (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილზე (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა) გადაკვალიფიცირება მოითხოვა. 2015 წლის 8 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ

40 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

41 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 17 დეკემბერს, თ.ა.-ს მიერ მეუღლის, ე.მ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა, არ შესულა.⁴²

6. გ.ი.-ს საქმე (ახალციხის რაიონული სასამართლოს საქმე №1/292-14)

2014 წლის 10 ივლისს, დაახლოებით 19:30 საათზე, სტუმრად მყოფი მ.ქ. და მისი ქმარი გ.ქ. თავიანთ რვა თვის შვილიშვილს, ე.ნ.-ს ასეირნებდნენ. ამავე სოფელში მცხოვრებმა გ.ი.-მ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ უყვარდა მ.ქ.-ს ქალიშვილი, რომელმაც უარი უთხრა ცოლობაზე და რ.ნ.-ზე დაქორწინდა, რომლისგანაც ეყოლა პატარა ე.ნ., გადაწყვიტა, ცოლად გაყოლაზე უარის თქმის გამო შური ეძია. მან სახლიდან გამოიტანა „სკს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მოსაკლავად რამდენჯერმე ესროლა მისი ყოფილი შეყვარებულის მშობლებს და არასრულწლოვან შვილს. სროლის შედეგად ცეცხლსასროლი ქრილობა მიიღო მ.ქ.-მ. ასევე დაიჭრა მისი 8 თვის შვილიშვილი ე.ნ., რომელიც ბაბუას ხელში ეჭირა. ხმაურზე გამოვარდა სოფლის მკვიდრი ზ.დ., რომელმაც გ.ი.-სთვის ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა სცადა. ამის მიუხედავად, გ.ი.-მ კიდევ ერთხელ გაისროლა. საბოლოო ჯამში, გ.ი.-ს ორმა დამ შეძლო გ.ი.-სთვის ცეცხლსასროლი იარაღის წართმევა და ძმის სახლში შეყვანა. მიყენებული ქრილობების შედეგად, ბებიის მ.ქ. და შვილიშვილი, 8 თვის ე.ნ. საავადმყოფოში გარდაიცვალნენ.

გ.ი.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა) და მეორე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება), ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას), 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა).

ბრალდებული 2014 წლის 12 ივლისს დააკავეს. 2014 წლის 14 ივლისს ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით, გ.ი.-ს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. 2014 წლის 21 აგვისტოს, ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით, შერაცხადობის დასადგენად ბრალდებული 20 დღით მოათავსეს საექსპერტო დაწესებულებაში.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებული დაავადებული იყო შიზოფრენიით. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, სადაც აღნიშნული იყო, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც მას არ ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. საბოლოო ჯამში, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გ.ი. დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში. საბოლოოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტმა (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა), როგორც ყველაზე მძიმე მუხლის სანქციამ, შთანთქმა ყველა სხვა ინკრინინირებული მუხლით გათვალისწინებული სასჯელი და მსჯავრდებულს დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით. გამოჯანმრთელებამდე მსჯავრდებული აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოათავსეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გ.ი.-ს მიერ, გ.ქ.-ს დედის, მ.ქ.-ს და რვა თვის შვილის, ე.ნ.-ს მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა, არ შესულა.⁴³

42 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

43 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

7. ო.შ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-252-14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ო.შ.-მ ჩაიდინა ოჯახური დანაშაული, განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-11¹ -108-ე მუხლით.

მეუღლეები, ო.შ.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე, ერთმანეთს 2013 წლის ნოემბრიდან დაშორდნენ. ბ.დ. დროებით საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. ო.შ. განაწყენებული იყო მეუღლეზე და მისი შურისძიების მოტივით მოკვლა განიზრახა.

2014 წლის 6 მარტს, დაახლოებით 11 საათზე, ო.შ.-მ საოჯახო დანა აიღო და ბ.დ.-ს საცხოვრებელ ბინაში მიადგა. მათ შორის წარმოქმნილი კამათის დროს ო.შ.-მ წინასწარ მომარჯვებული დანით, მოკვლის მიზნით, ბ.დ.-ს ჭრილობები მიაყენა. ბ.დ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

2014 წლის 8 მარტის განჩინებით, ო.შ.-ს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა განესაზღვრა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 7 მაისის განაჩენით, ო.შ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახით, 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით⁴⁴, ო.შ.-ს მიერ ყოფილი მეუღლის ბ.დ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესულია რამდენიმე მიმართვა:

2013 წლის 1 სექტემბერს, ბ.დ.-ს შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №012010913004 საქმეზე, ბ.დ.-ს მიმართ, ო.შ.-ს მიერ განხორციელებული ოჯახში შესაძლო ძალადობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბ.დ.-მ გამოძიების ეტაპზე არ დაადასტურა მეუღლის მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტი. 2013 წლის 25 სექტემბერს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება;

2014 წლის 2 მარტს, ბ.დ.-მ კვლავ მიმართა პოლიციას ყოფილი მეუღლის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო ძალადობის ფაქტზე, თუმცა პოლიციაში გამოცხადებისას ძალადობის ფაქტი არ დაუდასტურებია.

8. ი.წ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/284-14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ი.წ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ. ეს არის დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით.

ერთ-ერთ სოფელში მეზობლად ცხოვრობდნენ მარტოხელა ი.წ. და ხ.წ.-ს ოჯახი. ამ უკანასკნელის სახლში იზრდებოდა 1997 წლის 10 თებერვალს დაბადებული მ.წ. ი.წ.-სთვის ცნობილი იყო მ.-ს ასაკი (17 წელი); მ.წ. იყო არასრულწლოვანი და მე-11 კლასის მოსწავლე.

ი.წ. განაწყენებული იყო ნ.-ების ოჯახზე იმ მოტივით, თითქოსდა, მის შესახებ არასასიამოვნო ინფორმაციას ავრცელებდნენ. ამის გამო, ი.წ.-მ გადაწყვიტა, მათზე შური არასრულწლოვანი მ.წ.-ის მოკვლით ეძია. 2014 წლის 19 მარტს, დაახლოებით 13 საათზე, ი.წ. დაუდარაჯდა სახლში მყოფ მ.წ.-ს, მოტყუებით შეიყვანა ის ნ.-ების კუთვნილ აბაზანაში და ჯერ ჩაქურჩის თავში მრავალჯერადი დარტყმით, ხოლო შემდეგ, დანით კისრის არეში გადასმით მიაყენა სასიკვდილო დაზიანებები. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ი.წ.-მ მ.წ.-ს გვამი ურიკით გადაიტანა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ცეცხლი წაუკიდა და დამარხა.

2014 წლის 21 მარტს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ი.წ.-ს რუსთავის საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. 2014 წლის 21 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ი.წ. ცნობილი იქნა დამნაშავედ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობისათვის და 16 წლის და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

⁴⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ი.წ.-ს მიერ არასრულწლოვან მ.წ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁵

9. გ.ჩ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-349-14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: გ.ჩ. 2002 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ც.ლ.-სთან. რადგანაც ც.ლ. სისტემატურად მოიხმარდა ალკოჰოლურ სასმელებს, მეუღლეებს შორის ხშირად ადგილი ჰქონდა ოჯახურ კონფლიქტს.

2014 წლის 30 იანვარს, დაახლოებით 7 საათზე, საძინებელ ოთახში მყოფმა გ.ჩ.-მ შენიშნა, რომ ც.ლ.-ს მიღებული ჰქონდა ალკოჰოლური სასმელი და არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. ამის გამო მეუღლეებს შორის დაიწყო კამათი, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მათ ერთმანეთს ხის სკამის (ტაბურეტი) სროლა დაუწყეს. ც.ლ. მიტრიალდა და შურისძიების მიზნით, 1-1,5 მეტრი მანძილიდან ც.ლ.-ს ესროლა და თავის არეში მოარტყა საძინებელი ოთახის იატაკიდან აღებული სკამი. მიღებული დაზიანების გამო ც.ლ. წაიქცა და შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, გ.ჩ.-მ ც.ლ.-ს გვამი საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 300 მეტრში, ტყის მასივში მდებარე ხევში გადაიტანა და იქვე გამავალ ღელეში მოათავსა. 2014 წლის 1 თებერვალს ც.ლ.-ს გვამი მეზობლებმა აღმოაჩინეს.

გ.ჩ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა).

2014 წლის 3 თებერვალს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ალკვეთის ღონისძიების სახით, გ.ჩ.-ს წინასწარი პატიმრობა შეურჩია. 2014 წლის 6 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გ.ჩ. დამნაშავედ ცნო და 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გ.ჩ.-ს მიერ მეუღლის, ც.ლ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁶

10. ს.ს.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/797-2014)

2014 წლის 25 ივლისს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ს.ს., ყოფილ მეუღლესთან, ს.ჯ.-სთან საუბრისას განაწყენდა და ს.ჯ.-ს მოკვლა განიზრახა. განზრახვის შესაბამისად, ს.ს.-მ ახლო მანძილიდან, სამსახურებრივი საშუალო იარაღიდან ს.ჯ.-ს მისამართით ხუთჯერ გაისროლა და მუხლის, გულმკერდის და მარცხენა ხელის არეში დაჭრა. მიყენებული დაზიანებების გამო ს.ჯ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ს.ს.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა).

ს.ს. 2014 წლის 25 ივლისს ადგილზევე დააკავეს. 2014 წლის 28 ივლისს, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, ს.ს.-ს მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა.

2015 წლის 17 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ს.ს. ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან მას არ გაუვლია აფექტის მესამე ფაზა, რაც აფექტიდან გარკვეული დროის განმავლობაში ადამიანის დასუსტებას, აპათიურობას გულისხმობს. ამ დროს იგი პოლიციაში რეკავდა, მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ბავშვისთვის მიეხედათ. ეს არის მიზანმიმართული ქცევა, რაც აფექტის მესამე სტადიისათვის არ არის დამახასიათებელი. ამავე დროს, სასამართლომ, აფექტის მეორე ფაზის არსებობაც კი ეჭვქვეშ დააყენა, რადგან ამ დროს დამნაშავის ყურადღება მხოლოდ დაზარალებულისაკენ უნდა იყოს მიმართული. ს.ს.-მ ამ დროს ყურადღება იარაღზე გადაიტანა და გადატენა, რაც ასევე უჩვეულოა მეორე ფაზისათვის, როცა მთელი ყურადღება მსხვერპლისკენ უნდა იყოს მიმართული. აფექტს ახასიათებს სამი ფაზა:

45 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

46 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

კონფლიქტური სიტუაციის არსებობა, აფეთქება და აფექტის ჩაცხრობა (აპათიის, სისუსტის, მოდუნების და, ხშირად, ძილის ეტაპი). აფექტში მყოფმა ადამიანმა სამივე ეტაპი უნდა გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფექტი არ დასტურდება. კომპლექსურმა სასამართლო-ფსიქოლოგიურმა ექსპერტიზამ კატეგორიულად გამორიცხა მესამე სტადიის არსებობა. შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობას, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 111-108-ე მუხლით და არა 111-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში). ამის გამო ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ს.ს.-ს 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2015 წლის 15 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ თავისი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, რომც ყოფილიყო ფიზიოლოგიური აფექტი თავისი სამი ეტაპით, სახეზე არ ყოფილა იურიდიული აფექტი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია მსხვერპლის მიერ დამნაშავესთვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენება, რამაც უნდა გამოიწვიოს ფიზიოლოგიური აფექტი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ს.ს.-ს ორი მეგობრის ჩვენებაზე, რომლებიც 10-15 მეტრით იყვნენ დაშორებული ს.ჯ.-სა და ს.ს.-სგან და აცხადებდნენ, რომ მკვლელობამდე, ყოფილი ცოლ-ქმარი ხმადაბლა და მშვიდად საუბრობდა. ს.ჯ.-ს მიერ ს.ს.-სთვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენება არცერთ მოწმეს არ დაუდასტურებია. ამიტომ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც უარი თქვა ს.ს.-ს ქმედების სსკ-ის 111-ე მუხლით გადაკვალიფიცირებაზე. 2016 წლის 15 თებერვალს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ს.ს.-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁴⁷, 2014 წლის 25 ივლისს, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის ს.ს.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, ს.ჯ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, პოლიციაში შესულია ერთი შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, ს.ჯ.-ს ყოფილ მეუღლესთან კონფლიქტი ჰქონდა საერთო შვილის ნახვასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეტყობინება გადაეგზავნა პროკურატურას.

11. ა.ბ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/536-14)

2014 წლის 17 აპრილს, დაახლოებით 24 საათზე, ა.ბ.-მ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე შეკამათებისას ბლაგვი საგანი ჩაარტყა თავში დედას - დ.რ.-ს, რომელიც ამის შედეგად გარდაიცვალა. ა.ბ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ბრალდების შესახებ დადგენილებაში ა.ბ.-ს ქმედება დამატებით არ არის კვალიფიცირებული 111 მუხლით, იმის მიუხედავად, რომ სახეზე იყო ოჯახური დანაშაული.

2014 წლის 22 აპრილს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა. 2014 წლის 1 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ა.ბ. დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 111-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულისათვის და 11 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2015 წლის 3 თებერვალს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი, საქმის განზრახ მკვლელობიდან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაზე გადაკვალიფიცირების თაობაზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. 2015 წლის 14 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ა.ბ.-ს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ა.ბ.-ს მიერ დედის, დ.რ.-ს მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁸

47 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

48 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

12. ზ.ფ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-3912-14)

2014 წლის 8 ივნისს, დაახლოებით 01:00 საათზე, ზ.ფ.-მ ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტისას, დანით გულმკერდის არეში დაზიანება მიაყენა დედას - ნ.ფ.-ს, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. ზ.ფ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა).

2014 წლის 10 ივნისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ზომად პატიმრობა გამოიყენა. 2014 წლის 19 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით დაამტკიცა პროკურორისა და ზ.ფ.-ს შორის საპროცესო შეთანხმება. ზ.ფ. დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში და თავისუფლების 7 წლის ვადით აღკვეთა მიუსაჯეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზ.ფ.-ს მიერ დედის, ნ.ფ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁴⁹

13. ჯ.ა.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4605-13)

თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2009 წლის 29 ივნისის განაჩენით, ჯ.ა. დამნაშავედ ცნო ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის და სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ეს განაჩენი უცვლელად დატოვეს.

2012 წლის 28 დეკემბერს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 იანვრის განჩინებით, ჯ.ა.-ს გაუნახევრდა სასჯელი და განესაზღვრა 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის 2013 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ჯ.ა. პირობით ვადამდე 1 წლით, 5 თვით და 15 დღით ადრე გათავისუფლდა. მიუხედავად ამისა, ჯ.ა.-მ კვლავ ჩაიდინა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: კერძოდ, 2014 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 01:30 საათზე, ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტისას, დანით მრავლობითი ქრილობების მიყენებით მოკლა მეუღლე ლ.გ., რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

ჯ.ა.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-109-3-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი არაერთ-გზის) გათვალისწინებული დანაშაული.

2014 წლის 3 ივნისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ჯ.ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. 2014 წლის 15 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე დაამტკიცა პროკურატურასა და ბრალდებულს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ჯ.ა. დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში და 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჯ.ა.-ს მიერ მეუღლის, ლ.გ.-ს მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵⁰

49 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

50 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

14. ს.ა.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3408-14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2014 წლის 14 მარტს, ღამის საათებში, სკოლის ეზოში ს.ა.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს დანით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ა.ო.-ს. ეს უკანასკნელი ადგილზევე გარდაიცვალა. ს.ა. შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაკვალიფიცირდა.

2014 წლის 16 მარტს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ს.ა.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის განჩინებით, ს.ა., სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად, 20 დღით სისპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ბიუროში მოათავსეს.

2014 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ს.ა. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას 14 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ეს განაჩენი დაცვის მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლიდან 111-ე მუხლზე (მკვლელობის ჩადენა აფექტის მდგომარეობაში) გადაკვალიფიცირება მოითხოვა. შესავალ და დასკვნით სიტყვაში დაცვის მხარემ პოზიცია შეცვალა და სასამართლოსაგან ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა კი არა, სასჯელის შემსუბუქება და ს.ა.-სათვის სსკ-ის 108-ე მუხლის მინიმალური ზომის - 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოითხოვა. სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ს.ა.-ს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 13 წლამდე ვადით. 2015 წლის 20 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და ამით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ს.ა.-ს მიერ ა.ო.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵¹

ფემიციდის მცდელობა

1. ვ.ბ.-ს საქმე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-1197/14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2014 წლის 18 აგვისტოს, ღამის საათებში, ვ.ბ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას სცემა ნ.გ.-ს, რომელმაც ცემის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ვ.ბ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 111¹ 117-ე მუხლებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, სახიფათო, სიცოცხლისათვის). ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და ვ.ბ.-ს შეუფარდა გირაო 10 000 ლარის ოდენობით. ვინაიდან ბრალდებულმა 30 დღის ვადაში არ გადაიხადა გირაოს თანხა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, აღკვეთი ღონისძიება პატიმრობით შეეცვალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის განაჩენით, ვ.ბ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და შეუფარდა პატიმრობა 3 წლის ვადით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, 2015 წლის 22 მაისის განაჩენით, ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის 18 აგვისტოს, ვ.ბ.-ს მიერ ნ.გ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁵² თუმცა თავად

51 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

52 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078 01/11/2019.

დაზარალებული გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა, რომ პოლიციას მიმართა ბრალდებულის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ამ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

2. კ.ბ.-ს საქმე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-100/15)

საქმეში არსებული ფორმა №1-დან ირკვევა, რომ გამოძიება დაიწყო 2014 წლის 18 სექტემბერს, 2014 წლის 13 აპრილს, შუადღის საათებში, საცხოვრებელ სახლში კ.ბ.-ს მიერ ოჯახის წევრისათვის, ც.ც.-სათვის თავში ჩაქურჩის დარტყმით მიყენებულ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. კვალიფიკაცია: სსკ-ის 11¹-126-1 მუხლი (ოჯახში ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ).

გამოძიების დაგვიანებით დაწყება იმით იყო გამოწვეული, რომ როგორც დაზარალებული ც.ც. განმარტავს, დაზარალებულს დედამთილმა ურჩია, თავის არეში დაზიანების მიყენების მიზეზად კიბიდან ჩამოვარდნა დაესახელებინა. საავადმყოფოში დაკითხვის დროს ც.ც.-ს არ დაუსახელებია თავისი ქმარი, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ც.ც.-მ განაგრძო მეუღლესთან ცხოვრება. დანაშაულის ჩადენაში ქმრის მხილება ც.ც.-მ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც კ.ბ.-მ უარი თქვა მისი მკურნალობის დაფინანსებაზე.

2014 წლის 28 ნოემბერს, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის დადგენილებით კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ, კ.ბ.-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა) გადაკვალიფიცირდა. ამავე დღეს, ბათუმის რაიონულმა პროკურატურამ, კ.ბ.-ს დაკავების თაობაზე განჩინების გამოცემასთან დაკავშირებით, შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. 2014 წლის 29 ნოემბერს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და გაიცა განჩინება კ.ბ.-ს დაკავების თაობაზე. კ.ბ. 2014 წლის 30 ნოემბერს დააკავეს.

იმავ დღეს გამოიცა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ 2014 წლის 13 აპრილს, დღის საათებში, კ.ბ.-მ საკუთარ სახლში მეორე სართულზე განთავსებულ საძინებელ ოთახში, თავის მეუღლეს, ც.ც.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის მიზნით თავში ჩაარტყა ჩაქურჩი. დადგენილება ეყრდნობა ექსპერტიზის დასკვნას, სადაც აღნიშნულია, რომ ც.ც.-ს 13.4.2014 წ. აღენიშნებოდა ქალა ტვინის ღია მძიმე ტრავმა, მარცხნივ საფეთქლის ძვლის ფრაგმენტოვანი მოტეხილობა ფუძეზე გავრცელებით და იმპრესიით, დაჟეჟილი ქრილობა საფეთქლის არეში, მარცხენა მხარეს. არსებული დაზიანებები განვითარებულია მკვრივი ბლავგი საგნ(ებ)ის ზემოქმედების შედეგად და ერთობლიობაში მიეკუთვნებიან დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათო. კ.ბ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით.

2014 წლის 2 დეკემბერს, პირველი წარდგენის სხდომაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ კ.ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა. 2015 წლის 29 ივნისს არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განჩინებით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და კ.ბ.-ს შორის. შედგა შეთანხმება ბრალზე, კერძოდ, კ.ბ.-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლიდან სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-(1) მუხლზე (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) გადაკვალიფიცირდა. კ.ბ.-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, საიდანაც 1 წელი თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა. ორი წელი ჩაეთვალია პირობით გამოსაცდელ ვადაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კ.ბ.-ს მიერ მეუღლის, ც.ც.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁵³

53 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.,

3. რ.მ.-ს საქმე (გარდაბნის რაიონული სასამართლოს საქმე №1/146-14)

2014 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 03:30 საათზე, რ.მ.-მ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის გამო, განზრახ მოკვლის მიზნით, მეოთხე სართულიდან გადმოაგდო დ.მ. დაზარალებული ძირს დაეცა და სხეულის დაზიანება მიიღო. მოგვიანებით დ.მ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სათანადო დახმარება აღმოუჩინეს. რ.მ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის განზრახ მკვლელობის მცდელობა).

რ.მ. 2014 წლის 12 ივლისს, 20:45 საათზე დააკავეს. ბრალდებული სასამართლოში პირველად 2014 წლის 14 ივლისს წარადგინეს, მაგისტრანტმა მოსამართლემ რ.მ.-ს პატიმრობა შეუფარდა. გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ რ.მ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას რვა წლით დაქვესი თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 2 ივნისს არ დააკმაყოფილა რ.მ.-ს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებლის დადგენას ითხოვდა. სააპელაციო სასამართლომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 12 ივლისს, რ.მ.-ს მიერ მეუღლის, დ.მ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁵⁴

4. ბ.ც.-ს საქმე (ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს საქმე №1-187-14)

2014 წლის თებერვლის დასაწყისიდან 21 თებერვლამდე პერიოდში, ბ.ც. თავისი მობილური ტელეფონის ნომრით, ნ.ფ.-ის, ამ უკანასკნელის მეუღლის, ი.შ.-ის და დედამთილის, ნ.შ.-ის მობილურ ტელეფონზე სისტემატურად აგზავნიდა პატივისა და ღირსების შემლახავ წერილობით შეტყობინებებს, რამაც 2014 წლის 29 თებერვალს ნ.ფ. თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ბ.ც.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

2014 წლის 27 აპრილს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბ.ც.-ს პატიმრობის ნაცვლად შეუფარდა გირაო 10 000 ლარის ოდენობით. 2014 წლის 29 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბ.ც.-ს შორის. ბ.ც. ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მას სასჯელის სახით, 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. ეს სასჯელი მას ჩაეთვალა პირობითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბ.ც.-ს მიერ ნ.ფ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁵⁵

5. ჯ.ს.-ს საქმე (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1-467-14)

2014 წლის 10 ივნისის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2014 წლის 5 ივნისს, თავის საცხოვრებელ სახლში, დაახლოებით 20 საათზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯ.ს.-მ თავისი მეუღლის ი.ჭ.-ს მოკვლა სცადა, კერძოდ, ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით (მკვლელობის მცდელობა) დაკვალიფიცირდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლი (პასუხისმგებლობა ოჯახში ჩადენილი დანაშაულისათვის), გაუგებარი მიზეზებით, არც პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში, არც სასამართლო განაჩენში, ამ კონკრეტულ საქმეში მე-11¹ მუხლზე მითითება არ გვხვდება.

54 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

55 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

2014 წლის 10 ივნისს ბრალდებულს პირველი წარდგენის სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. 2014 წლის 5 სექტემბერს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ეს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, აპელანტმა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 13 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა. ჯ.ს.-ს საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 29 ივნისის განჩინებით დაუშვებლად ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჯ.ს.-ს მიერ მეუღლის, ი.ჭ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵⁶

6. რ.კ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/688-14)

რ.კ.-ს ბრალი სხვადასხვა დროს ჩადენილ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინა. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2014 წლის 22 ივლისის დადგენილებით, ეს ორი ეპიზოდი ერთ წარმოებად გაერთიანდა. 2014 წლის 13 აგვისტოს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2014 წლის 15 ივლისს, დაახლოებით 02:00 საათზე, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე რ.კ.-მ ყოფილ მეუღლეს, ი.ი.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. რის შემდეგაც, დაზარალებულმა, სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო, ჯანმრთელობის მოუშლელად. ამ დადგენილებით რ.კ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 111-126-1 მუხლით (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა).

ამავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ რ.კ.-მ განზრახ გაანადგურა სხვისი ნივთი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. 2014 წლის 15 ივლისს, დაახლოებით 02:00 საათზე, საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რ.კ.-მ ყოფილ მეუღლეს ი.ი.-ს მობილური ტელეფონი გაუნადგურა. ბრალდებულმა ამით სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა (სხვისი ნივთის დაზიანება).

ამავე დადგენილებით, რ.კ.-ს ბრალი წაყენა დანაშაულის მესამე ეპიზოდთან დაკავშირებითაც: 2014 წლის 18 ივლისს, დაახლოებით 17 საათზე, რ.კ.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე საცხოვრებელი კორპუსის წინამდებარე საავტომობილო გზაზე, დანის გამოყენებით, გულმკერდის უკანა ზედაპირზე მარჯვნივ მიდამოს ნაკვეთი ჭრილობის, მარჯვენა მხრივი ჰემოტორაქსის და პნევმო-ჰემოპერიტონიუმის, მეათე ნეკნის დაზიანების სახით, ყოფილ მეუღლეს, ი.ი.-ს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა. ბრალდებულმა ამით სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენება, რაც სახიფათოა სიცოცხლისათვის).

პირველად ბრალდებულს ბრალი 2014 წლის 23 ივლისს წაუყენეს. 2014 წლის 25 ივლისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 27 ნოემბრის განაჩენით, რ.კ. დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში. სისხლის სამართლის კოდექსის 111-117-1 მუხლმა (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) შთანთქმა სისხლის სამართლის კოდექსის 111-126-1-ე (ოჯახში ძალადობა) და 187-ე (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება) მუხლებით გათვალისწინებული სანქციები და საბოლოო ჯამში, რ.კ.-ს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 18 ივლისს რ.კ.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, ი.ი.-ს სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵⁷

56 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

57 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

7. თ.კ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/506-14)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2014 წლის 15 აპრილს, დაახლოებით 11 საათსა და 20 წუთზე, მაღაზიაში თ.კ.-მ ურთიერთშელაპარაკების დროს დანის რამდენჯერმე დარტყმით სცადა ყოფილი მეუღლის, ე.კ.-ს მოკვლა. დაზარალებულ ე.კ.-ს სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიადგა, რაც სიცოცხლისათვის საშიშაოა. თ.კ.-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა) დაკვალიფიცირდა.

2014 წლის 17 აპრილს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თ.კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. 2014 წლის 18 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, თ.კ. დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის და 6 თვის ვადით. თ.კ.-ს ადვოკატმა აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სასჯელის შემსუბუქება ითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, 2014 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით, საჩივარი არ დააკმაყოფილა და პირველი ინსტანციის მიერ განსაზღვრული სასჯელი ძალაში დატოვა. 2015 წლის 4 ივნისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განჩინებით დაუშვებლად ცნო თ.კ.-ს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 15 აპრილს, თ.კ.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, ე.კ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁵⁸

8. თ.დ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/6028-14)

2014 წლის 27 ივლისს, დაახლოებით 10 საათზე, თ.დ.-მ ყოფილ მეუღლეს, ქ.ჩ.-ს თავის არეში შუშის საყვავილის ჩარტყმით, სიცოცხლისათვის საშიშაო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიადგინა. ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-1 მუხლით (ოჯახის წევრის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება). 2014 წლის 17 სექტემბერს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. 2014 წლის 16 სექტემბრის შუამდგომლობით, პროკურატურა თ.დ.-ს მიმართ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. ამის ნაცვლად სასამართლომ ბრალდებულს შეეფარდა გირაო 7 000 ლარის ოდენობით.

სასამართლო არ დაეთანხმა პროკურატურას, რომ არსებობდა საფრთხე, ბრალდებულს ქვეყანა დაეტოვებინა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა. ამასთან, დანაშაულის ჩადენიდან ბრალდებულის პირველ წარდგენის სხდომაზე რამდენიმე თვე იყო გასული და მთელი ამ დროის განმავლობაში ბრალდებულს არ უცდია ქვეყნიდან გასვლა. ამავე დროს, სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა დანაშაულებრივი ქმედების განმეორების საფრთხე. ამის მიზეზი იყო გადაუჭრელი დავა საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით. თუმცა სასამართლომ საბოლოო ჯამში მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ დანაშაულის ჩადენიდან ბრალდებულის პირველ წარდგენამდე დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არ ყოფილა კომუნიკაცია, ამიტომ, სასამართლომ პატიმრობის ნაცვლად გირაო გამოიყენა.

2014 წლის 18 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით დაამტკიცა ბრალდებულს და პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. თ.დ. დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში, მას დაეკისრა პირობითი სასჯელი, თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. ბრალდებულს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით და გირაოს სახით გადახდილი თანხა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თ.დ.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, ქ.ჩ.-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁵⁹

58 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019

59 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

9. ა.ბ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3669-14)

2014 წლის 6 ივნისის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2014 წლის 23 მარტს, ა.ბ.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე განზრახ მოკვლის მიზნით, საცხოვრებელ სახლში დანის გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიფათო ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა მეუღლეს, ნ.ქ.-ს, რომელსაც დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე. დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა).

ამავე დადგენილებაში ასევე აღნიშნულია: 2014 წლის 23 მარტს, ა.ბ.-მ, საცხოვრებელ სახლში, დანის გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიფათო დაზიანება მიაყენა თავის მეუღლეს - ნ.ქ.-ს. როდესაც მისი დედა, ლ.ქ. სიძისთვის დანის წართმევას შეეცადა, ა.ბ.-მ დანის გამოყენებით ლ.ქ.-საც მიაყენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. სამედიცინო ექსპერტიზის №002100314 დასკვნის თანახმად, ლ.ქ.-სთვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით. ეს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნული ქმედების ჩადენისთანავე, ა.ბ. ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში.

2014 წლის 25 მარტს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა. 2014 წლის 4 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე დაამტკიცა პროკურორისა და ბრალდებულის შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ა.ბ. დამნაშავედ ცნეს მის მიმართ წარდგენილ ორივე ბრალდებაში. სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით გათვალისწინებულმა სანქციამ შთანთქმა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი. საბოლოოდ ა.ბ.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, აქედან 6 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალი პირობითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ა.ბ.-ს მიერ მეუღლის, ნ.ქ.-ს მკვლელობის მცდელობისა და სიდედრის, ლ.ქ.-ს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტებამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁶⁰

10. ფ.ა.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/5013-14)

ფ.ა.-მ 2014 წლის 22 აპრილს, ყოფილ მეუღლეს, ს.ა.-ს ეჭვიანობისა და შურისძიების მოტივით, განზრახ მკვლელობის მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით - ხმლით მოაჭრა თითისა და ყურის ნაწილები, მუხლი გადაუჭრა, ჩაუმტვრია კოჭის ძვალი და სიცოცხლისათვის საშიფათო სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის თავის არეში, მიაყენა მრავლობითი ნაკვეთ-ნაფლეთოვანი ჭრილობა. ფ.ა.-მ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის - გარეშე პირის ჩარევის გამო, დანაშაულებრივი ქმედება სისრულეში ვერ მოიყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. საავადმყოფოში გადაყვანილი, დაჭრილი ს.ა. ქირურგიული ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-3,ბ მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით) დაკვალიფიცირდა.

2014 წლის 28 აპრილს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ფ.ა.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა. 2014 წლის 22 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, მიიღო განჩინება ბრალდებულის 20 დღით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში მოთავსების თაობაზე.

2015 წლის 15 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ ფ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 17 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი, რომელიც ქმედების სსკ-ის 118-ე მუხლის მესამე პუნქტით დაკვალიფიცირებას მოითხოვდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს

60 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA O 19 02918078, 01/11/2019.

გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 10 თებერვლის განჩინებით, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით⁶¹, ფ.ა.-ს მიერ ყოფილი მეუღლის, ს.ა.-ს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესულია რამდენიმე მიმართვა:

2013 წლის 9 აგვისტოს, პოლიციის განყოფილებას განცხადებით მიმართა ს.ა.-მ, სადაც წერდა, რომ ყოფილი მეუღლე ურეკავდა ტელეფონზე, აკითხავდა საცხოვრებელ სახლში და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც ფ.ა.-მ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლისგან გაფრთხილება მიიღო.

2013 წლის 17 დეკემბერს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №007171213012 საქმეზე, 2013 წლის 17 დეკემბერს, ფ.ა.-ს მიერ, ყოფილი მეუღლის საკუთრებაში არსებული ავტომობილის ოთხივე საბურავის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ საქმეზე ფ.ა.-ს წარედგინა ბრალდება.

2015 წელს მომხდარი სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

ფემიციდი

1. ო.ჯ.-ს საქმე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-323/15)

2015 წლის 28 იანვარს, საღამოს საათებში, ო.ჯ.-მ საცხოვრებელ სახლში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა სიდედრს (მეუღლის მშობელს), ვ.ს.-ს, რამაც ამ უკანასკნელის სიკვდილი გამოიწვია. ო.ჯ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-2 მუხლით (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა).

2015 წლის 29 იანვარს, ბათუმის პროკურატურამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ო.ჯ.-ს დაკავების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა. იმავე დღეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. 2015 წლის 30 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ო.ჯ.-ს პატიმრობა შეეფარდა. 2015 წლის 1 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი, ვინაიდან მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ საქმეში არსებული მტკიცებულებები. ბათუმის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ო.ჯ. ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლის 28 იანვარს, ო.ჯ.-ს მიერ მეუღლის მშობლის, ვ.ს.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁶²

2. შ.ს.-ს საქმე (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/323-15)

2015 წლის 12 სექტემბრის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 11 სექტემბერს, დაახლოებით 8 საათზე, შ.ს. თავის ყოფილ მეუღლესთან - ლ.ს.-თან სახლში მივიდა და შერიგება სთხოვა. შემოთავაზებულ წინადადებაზე ლ.ს.-მ შ.ს.-ს კატეგორიული უარი უთხრა. ლ.ს.-ს პასუხით

61 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019

62 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

განაწყენებულმა შ.ს.-მ სამზარეულოს მაგიდიდან აიღო დანა და რამდენჯერმე დაარტყა ლ.ს.-ს. მიღებული დაზიანების შედეგად, ლ.ს. გარდაიცვალა. ბრალდებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებით, შ.ს.-ს აღკვეთი ღონისძიების სახით განესაზღვრა პატიმრობა. 2015 წლის 7 დეკემბერს შ.ს. თელავის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ეს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში სასჯელის შემსუბუქების მიზნით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელი დასაბუთებული იყო და სრულად უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნებს და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ამიტომ, 2016 წლის 4 თებერვლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის 11 სექტემბერს, შ.ს.-ს მიერ, ყოფილი მეუღლის, ლ.ს.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁶³

3. გ.მ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/385-15)

2015 წლის ბრალის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გ.მ.-ს 2015 წლის თებერვალში შეუყვარდა გ.კ. და ცდილობდა მასთან ურთიერთობის აწყობას, მაგრამ გ.კ. იმავე გრძნობით არ პასუხობდა, რის გამოც, 2015 წლის 16 მაისს გ.მ.-მ გ.კ.-ს მოკლა და დაწყვიტა. იმავე დღეს გ.მ.-მ შეიძინა მკვლელობის იარაღი GLOCK-ის ფირმის დანა, შემდეგ კი მსხვერპლი თავის ნაქირავებ ბინაში მოტყუებით მიიყვანა. დაახლოებით 21:50 საათზე გ.მ.-მ თანნაქონი დანის გამოყენებით გ.კ.-ს გულმკერდისა და ყელის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. გ.მ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა).

2015 წლის 23 მაისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, გ.მ.-ს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. 2015 წლის 28 დეკემბრის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენით გ.მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. 2015 წლის 18 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, პროკურორის საჩივრის საფუძველზე, ცვლილება შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენში და გ.მ.-ს დაუმძიმა სასჯელი. სააპელაციო სასამართლომ გ.მ.-ს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. სასჯელის შემსუბუქების მიზნით წარდგენილი დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2016 წლის 24 ივნისის განჩინებით, დაუშვებლად ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გ.მ.-ს მიერ გ.კ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁶⁴

4. ნ.მ.-ს საქმე (რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-419-5)

2015 წლის 24 ივლისის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2015 წლის 24 ივნისს, ნ.მ.-მ, საკუთარ სახლში, ეჭვიანობის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით განზრახ მოკლა თავისი მეუღლე, ს.მ. ნ.მ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) მუხლით.

2015 წლის 25 ივლისს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ ნ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. 2015 წლის 23 ივლისს გაცემული სასამართლოს განჩინებით ნ.მ. დააკავეს, მანამდე თვითდაზიანებაზე მკურნალობდა, რომელიც მეუღლის მკვლელობის შემდეგ მიიყენა.

63 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

64 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

2015 წლის 30 სექტემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენით, ნ.მ.-სა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა. აღნიშნული განაჩენით ნ.მ.-ს 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნ.მ.-ს მიერ მეუღლის, ს.მ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁶⁵

5. ზ.ჯ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/723-15)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2015 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 18 საათზე, თავის საცხოვრებელი სახლის ეზოში ზ.ჯ.-ს ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე შელაპარაკება მოუვიდა ძმის ცოლთან, ლ.ჯ.-სთან. ამ შელაპარაკების დროს ლ.ჯ.-მ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამით განაწყენებულმა ზ.ჯ.-მ შურისძიების მოტივით განიზრახა ლ.ჯ.-ს მოკვლა. ზ.ჯ.-მ თან ნაქონი ნაჯახით თავის არეში ერთჯერადი ჩარტყმით სიცოცხლისათვის საშიში ხარისხის დაზიანება მიაყენა ლ.ჯ.-ს, რის შედეგადაც, ლ.ჯ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ზ.ჯ.-ს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) დაკვალიფიცირდა.

2015 წლის 12 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ზ.ჯ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 11 სექტემბერს ზ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მას 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. 2016 წლის 6 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლის 30 აპრილს, ზ.ჯ.-ს მიერ ძმის მეუღლის, ლ.ჯ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით, შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁶⁶

6. ნ.კ.-ს საქმე (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/324-2016)

2016 წლის 24 მარტის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ ნ.კ.-მ ჩაიდინა გაუპატიურების მცდელობა ძალადობით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 10 საათიდან 11 საათამდე პერიოდში, ნ.კ. მთავორიან ტყეში იმყოფებოდა ნაბლის შესაგროვებლად. ამ დროს ნ.კ.-ს მის მეზობლად მცხოვრები, მასზე 23 წლით უფროსი, ქმარ-შვილიანი მ.ჯ. შემოხვდა, რომელიც ტყეში ასევე ნაბლის შესაგროვებლად იყო წასული. ნაბლის შეგროვების შემდეგ ორივემ დააპირა სახლში წამოსვლა. ნ.კ.-მ განიზრახა, მ.ჯ.-სთან ტყეში ძალადობით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. ნ.კ. უკნიდან მიეპარა მ.ჯ.-ს, ნააქცია და შეეცადა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. მ.ჯ. არ დანებდა და აქტიური ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია. ამასთან, მ.ჯ. ყვირილით ითხოვდა შველას. ნ.კ.-მ წინააღმდეგობის დასაძლევად, ხელ-ფეხით დაუწყო ცემა სხეულის სხვადასხვა ადგილებში. ამის შედეგად მ.ჯ.-ს სახის, შუბლის, გულ-მკერდის წინა და უკანა ზედაპირის არეებში მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები. მიუხედავად ამისა, ნ.კ.-მ მ.ჯ.-ის წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა - მ.ჯ.-ის გაუპატიურება. ამის გამო ნ.კ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-1-ე მუხლით (გაუპატიურების მცდელობა).

ნ.კ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში - სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით: მართალია, ნ.კ.-მ თავისი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, მან მ.ჯ.-ის გაუპატიურების მცდელობისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით, გადაწყვიტა ადგილზე მოეკლა თავისი მსხვერპლი. ამ მიზნით ნ.კ.-მ ხელების კისრის არეში წაჭერით, მექანიკური ასფიქსიის შედეგად მოახრჩო წაქცეული მ.ჯ. ამით ნ.კ.-მ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით).

65 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

66 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

ნ.კ.-მ ასევე ჩაიდინა მიცვალებულის უპატივცემულობა ცხედრის ნაბილწვის სახით: მას შემდეგ, რაც დარწმუნდა მ.ჭ.-ის გარდაცვალებაში, ნ.კ.-მ ცხედართან დაამყარა სქესობრივი კავშირი. შემდგომ, გვამს ზემოდან დააფარა ფოთლებიანი ტოტები და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ნ.კ.-მ ამით ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (მიცვალებულის მიმართ უპატივცემულობა).

2015 წლის 5 ნოემბერს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, ნ.კ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა. 2016 წლის 15 აპრილის განაჩენით, ნ.კ. დაშინაშავედ ცნეს სამივე ბრალდებაში. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულმა სანქციამ, როგორც ყველაზე მკაცრმა, შთანთქმა სხვა დანარჩენი ნორმებით გათვალისწინებული სანქციები და საბოლოოდ ნ.კ.-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლის 2 ნოემბერს, ნ.კ.-ს მიერ, მ.ჭ.-ს გაუპატიურების მცდელობისა და განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁶⁷

7. გ.ჩ.-ს საქმე (გორის რაიონული სასამართლოს საქმე №1/465-15)

2015 წლის 9 ოქტომბრის პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 29 ივნისს გ.ჩ.-მ უკანონოდ შეაღწია თავისივე სოფელში მცხოვრები ნ.გ.-ს საცხოვრებელ ბინაში მისი კუთვნილი მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლების განზრახვით. გ.ჩ.-მ ქურდობის გასაადვილებლად, ნ.გ.-ს მოკვლა გადაწყვიტა და იგი ხელების ყელში წაჭერით მოკლა. მკვლელობის ჩადენის შემდეგ, გ.ჩ.-მ ნ.გ.-ს გვამის ნაბილწვა განიზრახა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. ამის შემდეგ, გ.ჩ. დაეუფლა ნ.გ.-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონს, რომლის ღირებულება შეადგენს 45 ლარს.

გ.ჩ.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად), 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით) და 258-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცხედრის ნაბილწვა).

2015 წლის 3 ივლისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, გორის რაიონულმა სასამართლომ გ.ჩ.-ს პატიმრობა შეუფარდა. გორის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის განაჩენით, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციამ შთანთქმა სხვა მუხლებით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ გ.ჩ.-ს 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. 2016 წლის 21 აპრილს, სააპელაციო სასამართლომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლით იხელმძღვანელა და მსჯავრდებულს დაუნიშნა მინიმუმზე დაბალი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლის 29 ივნისს, გ.ჩ.-ს მიერ ნ.გ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, შეტყობინება/მიმართვა პოლიციაში არ შესულა.⁶⁸

8. ი.ს.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/642-15)

2015 წლის 20 იანვარს, ი.ს.-მ ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური კონფლიქტისას ლითონის საგნით თავისა და სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიიყენა დედას - ნ.ს.-ს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა) დაკვალიფიცირდა.

67 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

68 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

2015 წლის 22 იანვარს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა.

2015 წლის 18 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ი.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის წინარე ისტორიის შესახებ გვაცნობა, რომ ი.ს.-ს მიერ დედის, ნ.ს.-ს მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁶⁹

თუმცა სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება 112-ზე პოლიციისათვის 2015 წლის 18 და 20 იანვარს გაგზავნილი შეტყობინების ასლები, ასევე პოლიციის მიერ შედგენილი ოქმები. პირველად, საპატრულო პოლიცია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმმა გამოიძახა, რომელმაც განაცხადა, რომ მოხუც ქალს თავისი შვილი აგრესიულად ექცეოდა. პატრულ-ინსპექტორი ოქმში აღნიშნავს, რომ მისი ადგილზე მისვლის მომენტისათვის, ი.ს. დამშვიდებული იყო და დედამისს, ნ.ს.-ს აღარ ექცეოდა აგრესიულად, და რომ ამ კაცის მიმართ პრეტენზიები არავის გააჩნდა.

112-ის სამსახურში, ასევე, დარეკა მოქალაქე ლ.გ.ა.-მ, რომელიც აცხადებდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მისი მეზობელი ნ.ს სახლში შეშვებას სთხოვდა. ლ.გ.ა პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში აცხადებს, რომ მოხუცი ნ.ს მისგან ითხოვდა საჭმელს და ის აწუხებდა. ადგილზე მისულმა პოლიციამ ნახა არაჰიგიენურ მდგომარეობაში მყოფი მოხუცი ქალი, რომელიც მათთან კონტაქტში არ შედიოდა. პოლიციელებმა დააკაკუნეს ს-ების სახლის კარზე, ასევე გააღვიძეს მოხუცი ქალის შვილი, რომელსაც დედა სახლში შეაშვებინეს.

განსხვავებულად აღწერენ პოლიციის გამოძახებასთან დაკავშირებულ გარემოებებს მეზობლები. ლ.გ.ა., რომელმაც 2015 წლის 18 იანვარს გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რადგან მოხუცი ნ.ს. მისი სახლის კარს აწვავდა, აცხადებს, რომ საღამოს საათებში კარების წვალეების ხმა გაიგონა. მან გააღო კარი და დაინახა ფეხშიშველი მოხუცი ნ.ს., რომელმაც უთხრა, რომ შვილმა სახლიდან გამოაგდო. ნ.ს. ლ.გ.ა-ს ქმარმა მესამე სართულზე აიყვანა და ნ.ს.-ს შვილს სთხოვა, დედა სახლში შეეშვა. იმავე დღეს, დაახლოებით 23:00 საათზე ლ.გ.ა.-მ მის სართულზე ჩხუბის ხმა გაიგონა. ლ.გ.ა.-მ გააღო თავისი სახლის კარი და ნახა, რომ შიშველ ნ.ს. თავისი შვილი ეჩხუბებოდა. სწორედ ამის შემდეგ გამოიძახა ლ.გ.ა.-მ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელსაც ნ.ს.-მ უთხრა, რომ სახლში ვერ შედიოდა, რადგან მის შვილს, შესაძლოა, მოეკლა. ლ.გ.ა.-ს განმარტებით, პოლიციამ მისი თანდასწრებით აიყვანა ნ.ს. თავის სახლში. სახლის კარი ნ.ს.-ს ვაჟს, ი.ს.-ს ლურსმნით ჰქონდა აჭედილი. პოლიციამ ი.ს.-ს მოახსენვინა კარიდან ლურსმანი და გააფრთხილა, დედა აღარ გაეგდო სახლიდან და აღარ ეცემა. ამის შემდეგ, პოლიციამ შეადგინა ოქმი და დაახლოებით 01:00 საათზე წავიდნენ შემთხვევის ადგილიდან.

ფემიციდის მცდელობა

1. ნ.ჟ.-ს საქმე (ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-973-15)

2015 წლის 4 ივლისს, დაახლოებით 16 საათსა და 30 წუთზე, ერთ-ერთი პარკის ტერიტორიაზე ნ.ჟ.-მ დანის გამოყენებით არასრულწლოვან თ.წ.-ს გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენა, მათ შორის, ერთ-ერთი გულში შემავალი ჭრილობა იყო. თ.წ. განუვლი სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს. ამავე დადგენილების თანახმად, ნ.ჟ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანი პირის მიმართ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის 2015 წლის 4 ივლისს შედგენილი ოქმიდან ირკვევა, რომ ნ.რ. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, თუმცა 2015 წლის 4 ივლისს, 22 საათსა და 10 წუთზე დააკავეს.

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078 01/11/2019.

2015 წლის 7 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა გამოიყენა.

2015 წლის 12 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც ნ.ჟ. ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ნ.ჟ.-ს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, აქედან 10 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი პირობით სასჯელად ჩაეთვალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნ.ჟ.-ს მიერ არასრულწლოვან თ.წ.-ის მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁷⁰

2. ი.მ.-ს საქმე (ამბროლაურის რაიონული სასამართლოს საქმე №1-39-15)

ამბროლაურის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2015 წლის 5 აგვისტოს დადგენილებაში, პირის ბრალდების შესახებ აღნიშნულია, რომ 2015 წლის 3 აგვისტოს დაახლოებით 23 საათზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ი.მ.-მ ურთიერთშელაპარაკების დროს, განაწყენების ნიადაგზე, გულმკერდის არეში დარტყმით სიცოცხლისთვის საშიშვლო დაზიანებები მიაყენა მეუღლეს - ნ.ს.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ნ.ს. სიკვდილს ი.მ.-სგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო გადაურჩა. ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა).

მაგისტრატი მოსამართლის მიერ პირველი წარდგენის სხდომაზე, 2015 წლის 6 აგვისტოს მიღებული განჩინებით, ი.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. 2015 წლის 27 ნოემბერს ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ ი.მ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის 3 აგვისტოს, ი.მ.-ს მიერ მეუღლის, ნ.ს.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁷¹

3. კ.გ.-ს საქმე (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1-213/15)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კ.გ.-მ 2015 წლის 25 თებერვალს, დაახლოებით 17 საათზე, თავის საცხოვრებელ სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თავის მეუღლეს, ს.ზ.-ს მარცხენა სარძევე ჯირკვალზე და გულმკერდის უკანა ზედაპირზე ნაჯახის დარტყმით მიაყენა სიცოცხლისათვის საშიშვლო სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება. ქმედება კვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-19-108-ე მუხლით (ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობა).

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 თებერვლის განჩინებით, კ.გ.-ს პატიმრობა შეეფარდა. 2015 წლის 24 აპრილს კ.გ.-ს და პროკურატურას შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც კ.გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. აქედან 4 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁷², 2015 წლის 25 თებერვალს, კ.გ.-ს მიერ მეუღლის, ს.ზ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობამდე, ზემოხსენებულ პირებს შორის შესაძლო ძალადობის შესახებ, უწყებაში შესულია რამდენიმე შეტყობინება:

70 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

71 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

72 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 4 19 03205090 29/11/2019.

2014 წლის 30 ნოემბერს, მოქალაქე ს.ზ. სსიპ 112-ს დაუკავშირდა. მას საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება სურდა, ვინაიდან ოჯახური კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან, კ.გ.-სთან. შსს-ს შესაბამის რაიონულ სამმართველოში გაესაუბრნენ როგორც ს.ზ.-ს, ისე კ.გ.-ს. გასაუბრებების შედეგად აღმოჩნდა, რომ მეუღლეებს შორის ადგილი არ ჰქონია არც რაიმე სახის კონფლიქტს, არც ძალადობას. გასაუბრებისას ს.ზ.-მ მეზობელთან უთანხმოების ფაქტი ახსენა.

2015 წლის 3 იანვარს, მოქალაქე კ.გ.-მ სსიპ 112-ს მიმართა. მას საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება სურდა, ვინაიდან მეუღლესთან ჰქონდა კონფლიქტი საყოფაცხოვრებო საკითხთან დაკავშირებით. შსს-ს შესაბამის რაიონულ სამმართველოში კვლავ გაესაუბრნენ როგორც ს.ზ.-ს, ისე კ.გ.-ს. გასაუბრებების შედეგად აღმოჩნდა, რომ პრობლემა, რომელზეც მეუღლეებმა მიუთითეს, სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციაში შედიოდა. შესაბამისად, პოლიციამ ისინი ამ უწყებასთან გადაამისამართა.

2015 წლის 14 თებერვალს, უწყებაში კიდევ ერთი შეტყობინება შევიდა, რომლის თანახმადაც, კ.გ.-ს ოჯახური კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან. შეტყობინების საფუძველზე მხარეებს ამჯერადაც გაესაუბრნენ.

4. ი.ჩ.-ს საქმე (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/664-15)

ი.ჩ.-ის აზრით, მეუღლესთან, ხ.ბ.-სთან მის განქორწინებას ე.ც.-მ შეუწყო ხელი. ამის გამო განაწყენებული, შურისძიების მოტივით, 2015 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 21 საათზე, ი.ჩ. ე.ც.-სთან სახლში მივიდა და დანის დარტყმით მიაყენა დაზიანება მარჯვენა წინა მხარეს, მარცხენა ბარძაყის წინა ზედაპირზე და საზარდულის მიდამოში მარჯვენა ბარძაყის ვენის დაზიანებით, რის შედეგადაც ე.ც.-მ სხეულის სიცოცხლისათვის მძიმე დაზიანება მიიღო.

ი.ჩ.-მ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება).

2015 წლის 26 აგვისტოს (შემთხვევიდან ორი თვის გასვლის შემდეგ), პროკურატურამ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, ი.ჩ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 5000 ლარის ოდენობით გირაოს შეფარდების თაობაზე, შუამდგომლობით მიმართა. 2015 წლის 26 აგვისტოს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 10 თებერვლის განაჩენით, ი.ჩ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. აღნიშნული ვადა ჩაეთვალა პირობით გამოსაცდელი ვადით. ამგვარად, მთელი სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგაც, ი.ჩ.-ს არანაირი ფორმით არ ჰქონია თავისუფლება აღკვეთილი (არც დაკავებული ყოფილა, არც დაპატიმრებული).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ი.ჩ.-ს მიერ ე.ც.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁷³

5. დ.დ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/5043-15)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში ვკითხულობთ: 2015 წლის 6 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, ერთ-ერთ რესტორანში იმყოფებოდნენ თ.უ. და მისი მეგობარი, უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.რ.ს. ამ დროს მათთან მივიდა თ.უ.-ს ნაცნობი დ.დ., რომელმაც თ-ს რამდენჯერმე სთხოვა გარეთ სასაუბროდ გაჰყოლოდა, რაზეც ის უარით პასუხობდა. ამის შემდეგ დ.დ.-მ მასთან ერთად ა.რ.ს.-საც მოსთხოვა გარეთ გაყოლა, მაგრამ თ.უ.-მ წინააღმდეგობა გაუწია. განაწყენებულმა დ.დ.-მ მოკვლის განზრახვით და მიზნით, თანაქონი დანა სხეულის სხვადასხვა მიდამოში რამდენჯერმე დაარტყა ა.რ.ს.-ს და თ.უ.-ს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. ა.რ.ს.-ს და თ.უ.-ს დროული სამედიცინო დახმარება გაეწიათ. ამ დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-3 „ა“ (დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) მუხლით.

დ.დ. 2015 წლის 24 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე დააკავეს. 2015 წლის 26 სექტემბერს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, თბილისის საქალაქო

⁷³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA 0 19 02918078, 01/11/2019.

სასამართლომ დ.დ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა. 2016 წლის 25 იანვარს, არსებითი განხილვის გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულსა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა. დ.დ. დამნაშავედ ცნეს წარდგენილ ბრალდებაში. მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 9 წელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით განესაზღვრა, ხოლო ორი წელი პირობითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დ.დ.-ს მიერ ა.რ.ს-ს და თ.უ.-ს მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁷⁴

6. დ.ბ.-ს საქმე (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 თებერვლის განაჩენი)

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: 2015 წლის 1 ივნისს, დამის საათებში, დ.ბ.-მ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა დედას, ს.ბ.-ს. კერძოდ, დ.ბ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბლაგვი საგნის გამოყენებით სახისა და თავის არეში დაზიანებები მიაყენა ს.ბ.-ს. დარტყმის შედეგად ს.ბ.-მ მიიღო ქალა ტვინის ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, სახის ძვლების მოტეხილობა; თავის ტვინის შეშუპება, მწვავე ჰემატომა შუბლის არეში და გულმკერდის დახურული ტრავმა; ქმედება დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება).

2015 წლის 3 ივნისს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და სასამართლომ ბრალდებულის მიმართ პატიმრობა გამოიყენა. პროკურატურამ 2015 წლის 22 ივნისს შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და შერაცხადობის დასადგენად, დ.ბ.-ს სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება მოითხოვა. 2015 წლის 23 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დ.ბ. 20 დღით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში მოათავსეს.

2016 წლის 23 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნეს და შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით. 2016 წლის 30 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასჯელის შემსუბუქების მიზნით დაცვის მხარის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა. 2016 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დ.ბ.-ს მიერ დედის, ს.ბ.-ს მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტამდე, მითითებულ პირებთან დაკავშირებით შესაძლო ძალადობის შესახებ, პოლიციაში შეტყობინება/მიმართვა არ შესულა.⁷⁵

74 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA O 19 02918078, 01/11/2019.

75 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წერილი - MIA O 19 02918078, 01/11/2019.

